

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №306

2015 წლის 25 ივნისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტების „ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „თბილისის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის ალკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „აჯამეთის ალკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის ალკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორულის ალკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის ალკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „მაჭახელას ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილების „დანართი 4“-ით განსაზღვრული, „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა თავი I

შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავებული იქნა სათაფლიის ნაკრძალის, ალკვეთილისა და 19 ბუნების ძეგლისათვის, მთლიანობაში „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის“. მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიის კატეგორიისათვის. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნების დასახვა, რომლის შედეგების მიღწევაც მიზნად უნდა დაისახოს პასუხისმგებელმა უწყებამ მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდში, ამ შედეგების მისაღწევად მის მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებებისა და პროგრესის მონიტორინგის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.



მუხლი 2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნის მთავარი მიზნები

დაცული ტერიტორიები შეიქმნა „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, როდესაც იმერეთის რეგიონში შეიქმნა მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი და ემატა ბუნების ძეგლი. ამ დაცული ტერიტორიების შექმნა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

ა) თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, არქეოლოგიური კომპლექსების, ბუნების იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

გ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლის, დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფა;

დ) ბუნების ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 3. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

1. 2013 წლის ივლისში რეგიონში მთავარი პარტნიორების გამოვლენის მიზნით გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის სემინარი მენეჯმენტის გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპებისთვის.

2. 2013 წლის ნოემბერში შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის I და II თავების მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. 2014 წლის იანვარში ჩატარდა საწყისი სამუშაო შეხვედრა და სიტუაციური ანალიზის სემინარი დაინტერესებულ პირებთან ერთად. სიტუაციური ანალიზის შეხვედრის დროს გადაიხედა მენეჯმენტის გეგმის I და II თავები, განისაზღვრა დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებები და შეთანხმებული გრძელვადიანი მიზნები, ასევე გამოვლინდა პრობლემები და შესაძლებლობები, რაც მენეჯმენტის გეგმაში უნდა იყოს ასახული.

4. თებერვალში შესწორდა მენეჯმენტის გეგმის I და II თავები, ხოლო მე-3 და მე-4 თავები შემუშავდა სიტუაციური ანალიზის სემინარის შედეგებზე დაყრდნობით.

5. 2014 წლის მარტში გაიმართა დაგეგმვის სემინარი დაინტერესებულ პირებთან ერთად. სემინარზე გადაიხედა მე-3 და მე-4 თავები, ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი მიზნები და პროგრამები. სემინარის შემდეგ მომზადდა მე-5, მე-6 და მე-7 თავები.

6. მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 12 იანვარს პრომეთეს მღვიმის ვიზიტორთა ცენტრში.

მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა მოქმედებს ძალაში შესვლიდან 6 წლის განმავლობაში.

მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეექვსე წლის პირველი კვარტალისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II დაცული ტერიტორიების აღწერა

მუხლი 6. ადგილმდებარეობა

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და წარმოადგენს ჩრდილოეთ იმერეთის დაბალმთისა და სამგურალის სერის ნაწილს.

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მოიცავს იმერეთის რეგიონის ნაწილს და ვრცელდება ოთხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე: ხონის, წყალტუბოს, ტყიბულისა და თერჯოლის.

3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მოიცავს შემდეგი კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს: 1 – ნაკრძალი, 1 – აღკვეთილი და 19 ბუნების ძეგლი:

ა) სათაფლიის ნაკრძალი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბანოჯას მახლობლად და მოიცავს 330 ჰექტარს;

ბ) სათაფლიის აღკვეთილი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ბანოჯას მახლობლად, სამხრეთით ესაზღვრება სათაფლიას ნაკრძალს და მოიცავს 34 ჰექტარს;

გ) ბუნების ძეგლები:

გ.ა) პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმისთავში და 46,6 ჰექტარს მოიცავს;

გ.ბ) თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს ქალაქ წყალტუბოს ჩრდილოეთით 1,5 კმ-ის მანძილზე;

გ.გ) ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხომულის ტერიტორიაზე და მისი ფართობი 1,8 ჰექტარს მოიცავს;

გ.დ) ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცუცხვათის შემოგარენში, მდინარეების შაფათაღელეს სანაპიროსა და ჭიშურას აუზში;

გ.ე) ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავენახევის ტერიტორიაზე;

გ.ვ) ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. გოდოვანის ტერიტორიაზე;

გ.ზ) იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. გოდოვანის მიმდებარედ მდინარე წყალწითელას ხეობაში;

გ.თ) საკაჟის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. გოდოვანის მიდამოებში, მდინარე წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობზე;

გ.ი) წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. გოდოვანისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის, სოფ. გელათის ხიდებს შორის მონაკვეთში, მდინარის 7,5 კმ-იან ზოლში და 21,7 ჰექტარს მოიცავს;

გ.კ) ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორდის მიდამოებში და 70,5 ჰექტარს მოიცავს;

გ.ლ) ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კინჩხას მახლობლად;

გ.მ) გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე;



გ.ნ) საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე, მდ. სემის მარცხენა ნაპირზე;

გ.ო) სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმისთავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე;

გ.პ) დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. მელოურის ტერიტორიაზე;

გ.ჟ) მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. მელოურის მახლობლად;

გ.რ) ბლერის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვილიშორის მახლობლად;

გ.ს) ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვილიშორსა და ყუმისთავს შორის საზღვარზე;

გ.ტ) მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში და 13,5 ჰექტარს მოიცავს.

4. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებში შემავალი სათაფლიას ნაკრძალის, სათაფლიას აღკვეთილისა და ბუნების ძეგლების დეტალური აღწერილობა იხილეთ დანართ 2 - ში.

5. დაცული ტერიტორიების ადგილობრივი მდებარეობისა და საზღვრების რუკა იხილეთ დანართში 3ა.

მუხლი 7. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ისტორია

1. 1925 წელს ქუთაისელმა პედაგოგმა, ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა და ნატურალისტმა პეტრე ჭაბუკიანმა (დაკრძალულია სათაფლიის აღკვეთილის ტერიტორიაზე), პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებლის ძიებისას, სათაფლიის ტერიტორიაზე აღმოაჩინა კარსტული მღვიმე.

2. პ. ჭაბუკიანმა, 1933 წელს აღნიშნულ მღვიმემდე მისასვლელი გზის მშენებლობისას მერგელოვან კირქვაზე უკვე ცარცული პერიოდის გადაშენებული ქვეწარმავლის – დინოზავრის გაქვავებული ნაკვალევი აღმოაჩინა.

3. პ. ჭაბუკიანის ინიციატივით, სათაფლია 1935 წელს ნაკრძალად გამოცხადდა და მისი მიზანი არსებული გეოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ძეგლების დაცვა იყო.

4. სახელმწიფო ნაკრძალს სახელი სათაფლიის მთის მიხედვით დაერქვა, რომელიც ზღვის დონიდან 494 მ. სიმაღლის ჩამქრალ ვულკანს წარმოადგენს. უძველესი დროიდან ეს მთა ფუტკრების იდეალურ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა და მომიჯნავე სოფლების მოსახლეობა ტრადიციულად მისდევდა მეფუტკრეობას. დროთა განმავლობაში თაფლის სიჭარბის გამო, აღნიშნულ მთას „სათაფლია“, ანუ „თაფლის მთა“ ეწოდა.

5. 1957 წელს შეიქმნა სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძლის ადმინისტრაცია.

6. 1958-59 წლებში ჩატარებული ტყეთმოსწობით მოხდა ნაკრძლის საზღვრების დაზუსტება და მისი ფართობი 354 ჰექტარით განისაზღვრა.

7. 1963 წელს აშენდა ადმინისტრაციული შენობა, ხოლო 1984 წელს სპელეოლოგიური მუზეუმი, რომელთა დემონტაჟი მოხდა 2010 წელს – სარეაბილიტაციო სამუშაოებისას.

8. 1979 წელს სათაფლიის ნაკრძალს გამოეყო დინოზავრთა ნაკვალევი, სპელეოლოგიური მუზეუმი და კარსტული მღვიმე, გადაეცა სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს და შეიქმნა მღვიმეთა კომპლექსის დირექცია.



9. 1984 წელს აღმოჩენილი იქნა წყალტუბოს მღვიმე, რომელსაც მოგვიანებით, ჯერ ყუმისთავი და შემდეგ პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის სახელი ეწოდა.
10. 1988 წელს სახელმწიფო ნაკრძალის რეორგანიზაციის შედეგად ხობის რაიონში შეიქმნა კოლხიდა-სათაფლიის ნაკრძალის ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრი.
11. 1991 წელს ისევ მოხდა რეორგანიზაცია და შეიქმნა სათაფლია-კოლხიდას სახელმწიფო ნაკრძალი.
12. 1992 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №789 განკარგულებით სათაფლიის ნაკრძალს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსაგან დაუბრუნდა დინოზავრთა ნაკვალევი, კარსტული მღვიმე და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტები.
13. 2007 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომლითაც სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა კომპლექსური დაცული ტერიტორია. მასში გაერთიანდა 1 სახელმწიფო ნაკრძალი და 11 ბუნების ძეგლი.
14. 2009 წელს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები საჩვენებელ მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა.
15. 2011 წლის მარტში კანონში „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილებები. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს გამოეყო 34 ჰექტარი და შეიქმნა სათაფლიის აღკვეთილი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. ამავე დროს დაზუსტდა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრები და ფართობი განისაზღვრა 330 ჰექტარით. ასევე ბუნების ძეგლების რაოდენობა გაიზარდა 18 - მდე.
16. 2013 წლის ნოემბერში საქართველოს კანონში „იმერეთის მღვიმეების ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ შეტანილი ცვლილების თანახმად ბუნების ძეგლების ჩამონათვალს დაემატა მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი.

მუხლი 8. გეოლოგია

1. საქართველოს ტექტონიკური დანაწილების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000 წ.) რეგიონი შედის ნაწილობრივ ამიერკავკასიის მთათაშუა არესა და ნაწილობრივ მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა სისტემაში.
2. ტერიტორია განთავსებულია ძირითადად მთათაშუა არის ცენტრალური აზეგების ზონაში, რომელიც აღმოსავლეთის მიმართულებით გადადის აღმოსავლეთ დაძირვის, ხოლო დასავლეთით დასავლეთ მოლასური დაძირვის ზონაში (რიონის მთათაშუა როფი), ხოლო მისი მცირე ნაწილი ხვდება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ჩრდილო ქვეზონაში.
3. ეს ტექტონიკური ერთეულები ერთმანეთისგან გამოიყოფიან სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის რეგიონალური რღვევებით. სხვადასხვა მიმართულების რღვევები განვითარებულია ტექტონიკური ერთეულების შიგნითაც.
4. ყველა ნაოჭა სტრუქტურა წარმოდგენილია ბრაქინაოჭით, ხოლო რღვევითი აშლილობები ქმნიან ბლოკურ სტრუქტურას. ამასთან, გამოყოფილი ბლოკები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანაოჭების ხასიათით, ისე ჩამოყალიბების გეოლოგიური პირობებით.
5. რეგიონი აგებულია:
 - ა) ძველი „ფუნდამენტის“ წარმონაქმნებით, რომლებიც მოიცავენ ქანებს ზედა პალეოზოურამდე ანუ ყველა იურულამდე წარმონაქმნს. ამასთან, იურულამდეელი ასაკის წარმონაქმნებში გამოიყოფა ორი კომპლექსი, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ასაკით, ისე დისლოკაციის ხასიათით: ა) ქვედა კომპლექსი – შუაპალეოზოურ-კამბრიულამდეელი კრისტალური და მეტამორფული წარმონაქმნები, რომელთა კონსოლიდირება მოხდა პალეოზოური ტექტონიკური ციკლის ადრეზაიკალურ და ადრეპერცინულ ეპოქებში; ბ) ზედა კომპლექსი – ვულკანოგენ-დანალექი კვარცპორფირული წარმონაქმნები, რომელთა კონსოლიდირება მოხდა ჰერცინული ციკლის ბოლოს. კომპლექსი მასზე განლაგებული სტრუქტურული სართულისგან



გამოყოფილია ტექტოგენეზის მძლავრი ძველკიმერიული ფაზით;

ბ) მას მოსდევს მეზო-კაინოზოური ნალექები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან დანალექ საფარს.

6. დანალექ საფარში ლითოფაციალური, დისლოკაციის ხარისხის და წოლის პირობების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი სტრუქტურული სართულები: ა) იურული; ბ) ცარცული გ) პალეოგენური; დ) ნეოგენური და ე) მეოთხეული.

7. ქვედა იურული (ლიასური) ნალექები გავრცელებულია ვიწრო ზოლების სახით და უშუალოდ გრანიტებს ან გვიან პალეოზოურ ვულკანოგენ-დანალექ წყებას ადევს თავზე. ისინი წარმოდგენილია: კონგლომერატებით, გრაველიტებით, კვარც-არკოზული ქვიშაქვებით, ფიქლისმაგვარი თიხებით, კვარც-ქარსიანი ქვიშაქვებით, ქვიშიანი კირქვებით და გამარმარილოებული ზოგენური კირქვებით.

8. შუა იურული ნალექები (აალენური, ბაიოსური) წარმოდგენილია ბრექჩისებური გამარმარილოებული კირქვებით და პორფირიტული სერიის ვულკანოგენ-დანალექი წარმონაქმნებით.

9. ზედა იურული ნალექები წარმოდგენილია ქვედა – ჭრელი წყების (თიხიანი ქვიშაქვებით და ქვიშებით) და ზედა წყების – ქვიშაქვებითა და ქვიშებით.

10. ქვედა ცარცული ნალექები ძირითადად წარმოდგენილია კარბონატული, ტერიგენული და კარბონატულ-ტერიგენული ნალექებით, ვულკანოგენ-დანალექი ქანები უმნიშვნელო როლს თამაშობენ.

11. ზედა ცარცი წარმოდგენილია კირქვებით, მერგელებით, რომლებშიც ტერიგენული, ვულკანოგენ-ტერიგენული და თიხოვანი წარმონაქმნებიც გვხვდება.

12. აღმავალ ჭრილს თანხმობით აგრძელებს პალეოგენი, რომლის ქვედა ნაწილი (პალეოცენი და ქვედა ეოცენი) წარმოდგენილია მერგელებით, კირქვებით და თიხებით, რომელიც სრულიად თანდათან გადადის შუა ეოცენურ ვულკანოგენ-დანალექ ქანებში, რომელიც წარმოდგენილია არგილიტებით, ტუფოარგილიტებით, ტუფებით, სხვადასხვა ნატეხოვანი ვულკანური ბრექჩიებითა და სხვადასხვა შედგენილობის ლავური განფენებით. ზედა ეოცენი სურამ-გოკიშურის რღვევის გასწვრივ გაჭიმულია მერგელების ვიწრო ზოლის სახით.

13. ოლიგოცენ-შუა მიოცენური მაიკოპის წყება წარმოდგენილია კარბონატული თიხებით, ქვიშაქვებით, იშვიათად მერგელებით და ქვიშებით.

14. მეოთხეული სისტემა წარმოდგენილია ძველი და თანამედროვე ალუვიური და დელუვიური ნალექებით.

მუხლი 9. ჰიდროლოგია

1. იმერეთის რეგიონის წყლის ძირითადი არტერიებია: მდ.რიონი და მდ. ყვირილა. მდ. რიონი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის ფასის მთიდან, ზღვის დონიდან 2620 მ სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას ქ.ფოთში. მისი სიგრძე 327 კმ-ია და აუზის ფართობი 13 400 კვადრატული კილომეტრი. იმერეთის რეგიონში მისი მთავარი შენაკადებია: ჯეჯორა (სიგრძე 50კმ), ყვირილა (სიგრძე 140კმ), ხანისწყალი (სიგრძე 57კმ), ცხენისწყალი (სიგრძე 176კმ). 8 შედარებით მცირე შენაკადების (საქაო, ლუხუნისწყალი, ლაჯანური, ქორისწყალი, სულორი, კუმური, გუბისწყალი, ხევისწყალი) სიგრძე 25-50 კმ-ია.

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისთვის შემდეგ ოთხ მდინარეს აქვს დიდი მნიშვნელობა: წყალწითელას, ყუმის, ოკაცისა და ოდასკურას მდინარეები. ოდასკურას მდინარის სათავე მდებარეობს 200 მ-ის მანძილზე სათაფლიის მღვიმის გამოსასვლელიდან.

მუხლი 10. კლიმატი

1. იმერეთი ძირითადად მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. აქ ზამთარი ცივია და ზაფხული შედარებით მშრალი და ცხელი. იანვრის თვის ტემპერატურა +2, +5, ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა +38, +40C. ნალექების რაოდენობა 100-200მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს;



2. კოლხეთის დაბლობი იმერეთის მხოლოდ მცირე ტერიტორიაზე ვრცელდება და იგი მოიცავს სამტრედია-ხონი-ქუთაისის მონაკვეთს. ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიაზე კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი უხვი ატმოსფერული ნალექების ინტენსივობა საგრძნობლად შემცირებულია.

3. რიონის აუზის უმეტესი ნაწილი იმერეთის მაღლობზეა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მეტრიდან 1500 მეტრამდე მერყეობს. მაღლობი დასერილია მდინარეთა ხეობებით. შავი ზღვის გავლენა შესუსტებულია, რის გამოც ზამთარი დაბლობთან შედარებით საგრძნობლად ცივია. წლის უცივესი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურა 600 მ სიმაღლემდე დადებითია, 1200 მ სიმაღლეზე კი ანალოგიური მაჩვენებელი -4 და 1500 მ სიმაღლეზე -6 გრადუსი ყინვაა. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა სიმაღლის მიხედვით 255 დღიდან 180 დღემდე მცირდება.

4. წლის ცივ პერიოდში გაბატონებულია დასავლეთის და თბილ პერიოდში აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. ატმოსფერული ნალექები განსაკუთრებით მცირეა ჭიათურა-საჩხერის მონაკვეთზე (900-1200 მმ წელიწადში). აღნიშნული მიდამოები დასავლეთ საქართველოში ყველაზე მშრალია. მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე წლის განმავლობაში 1200-1400 მმ-ია. ლიხის ქედის ზედა ნაწილში და რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობებზე მოსული ნალექების წლიური რაოდენობა 1600-1800 მმ-ს აღწევს.

მუხლი 11. ლანდშაფტები

საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიისგან განსხვავებით, რომლებიც განლაგებულია ნაწილობრივ მაღალმთიან რაიონებში, დასავლეთ საქართველოში მდებარე იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები გორაკ-ბორცვიან ლანდშაფტში მდებარეობს, იქ, სადაც მჭიდრო დასახლებებია. მოსახლეობის მიერ ტრადიციული მეურნეობის მეთოდების გამოყენებამ აქ არსებულ ღია, ნახევრად-ბუნებრივ ჰაბიტატებს შეუცვალა ფორმა უკვე მრავალი საუკუნეა. პეიზაჟი წარმოდგენილია მოზაიკური სამოვრებით, ბუჩქებითა და ტყეებით, რომლებიც პატარ-პატარა სოფლებითაა გარშემორტყმული.

მუხლი 12. ბიომრავალფეროვნება

1. სათაფლიის ნაკრძალი საქართველოს ნაკრძალთა შორის ერთ-ერთი პატარა ნაკრძალია, მისი ფართობი შეადგენს 330 ჰექტარს, თუმცა თავისი მრავალფეროვნებით იგი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაკრძალს წარმოადგენს გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური იშვიათობების კუთხით, რომელიც აგრეთვე თავშესაფრით უზრუნველყოფს მრავალ იშვიათ, ენდემურ და რელიქტურ მცენარეს, მათ შორის, რამდენიმე საინტერესო ცხოველთა სახეობას.

2. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესახებ დღემდე ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხოლოდ სათაფლიის ნაკრძალისა და აღკვეთილისთვის არსებობს. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ცნობილია გეოლოგიური და პალეოლოგიური მახასიათებლებით, მაგ., როგორცაა: დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიის აღკვეთილში, მაშინ როცა საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიები ცნობილია ბიომრავალფეროვნებით. იმერეთის დაცული ტერიტორიები ამავდროულად ღამურების მრავალი სახეობისთვის საცხოვრებელს წარმოადგენს, რომლებიც იყენებენ მღვიმეების შესანიშნავ პირობებს და ირგვლივ მდებარე ტყის ჰაბიტატებს. სამწუხაროდ, სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმის ღამურების სახეობების რიცხვი მცირდება მღვიმის ტურისტული მიზნებისთვის გამოყენების და შეწუხების გამო (მუსიკა, ძლიერი განათება მღვიმეებში). გარდა გეოლოგიური ფორმირებისა და სპელეოლოგიური იშვიათობებისა, მეცნიერებსა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აღმოაჩინონ უხერხემლოების მშვენიერი სამყარო, რომლებიც კარსტულ მღვიმეებს განსაკუთრებით კარგად ეგუებიან (ბრმა კიბოები, ობობები, მტკნარი წყლის მოლუსკები), ნაკრძალი აგრეთვე მდიდარია მწერებით.

3. აღსანიშნავია ნაკრძალის შერეული კოლხური ფართოფოთლოვანი ტყე, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 380-525მ სიმაღლეზე მდებარეობს და გამოირჩევა რელიქტური ხისა და ბუჩქის სახეობების სიმრავლით.

4. მღვიმეების ირგვლივ კოლხური ტყის ლამაზ ხედს სრულყოფილ სახეს აძლევს ფრინველების დიდი მრავალფეროვნება. სათაფლიის ნაკრძალი წარმოადგენს ისეთი ფრინველების საცხოვრებელ გარემოს, როგორცაა: მერცხალი, სკვინჩა, ყარანა, შაშვი, ჩხიკვი და სხვა. ასევე ოფოფი, მწყერი და ტყის ქათამი ხშირად სტუმრობენ რეგიონს.



მუხლი 13. ფლორა

1. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორიის 98% დაფარულია ახალგაზრდა კოლხური ტიპის ტყით, რომლის ასაკი 70-75 წელიწადს არ აღემატება. ნაკრძალად გამოცხადებამდე ეს ადგილი განიცდიდა ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას, მხოლოდ ნაკრძალად გამოცხადების შემდეგ დაიწყო მისი აღდგენა.

2. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის გვხვდება 100-ზე მეტი სახეობის მერქნიანი მცენარე (მათ შორის, 4 სახეობის წიწვიანი) 35 ბოტანიკური ოჯახიდან. ბალახოვან მცენარეთა სრული სახეობრივი შემადგენლობის დასადგენად აუცილებელია ნაკრძალისა და აღკვეთილის საველე ინვენტარიზაცია. ტყის ძირითადი ტიპი რცხილნარ-ჯაგრცხილნარია, რომლსაც შეერევა: წიფელი, წაბლი, თელა, მუხა, და სხვ. სათაფლიის ტერიტორიაზე გავრცელებული მერქნიანი მცენარეებიდან 49 სახეობის ხეა, დანარჩენი – პატარა ხე/ბუჩქი, ბუჩქი ან მერქნიანი ლიანა. ფოთლოვან მერქნიანთა (ბუჩქებისა და ლიანების) 9 სახეობა მარადმწვანეა.

3. აღსანიშნავია, რომ 9 იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მერქნიანი მცენარის სახეობა, რომლებიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, ფართოდ არის გავრცელებული ნაკრძალსა და აღკვეთილში: წაბლი (*Castanea sativa*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), ძელქვა (*Zelcova carpinifolia*), უთხოვარი (*Taxus baccata*), კოლხური ბუხა - (*Buxus colchica*), ჩვეულებრივი ხურმა – (*Diospyros lotus*), დაფნა – (*Laurus nobilis*) და ბროწეული – (*Punica granatum*). გარდა ამისა, კავკასიის ენდემია 17 სახეობა, ხოლო 1 სახეობა – იმერეთის მუხა (*Quercus imeretina*) – საქართველოს ენდემია.

4. კოლხური ტყის ელემენტებს შორის – მესამეული პერიოდის რელიქტებიდან შემდეგი სახეობებია ფართოდ გავრცელებული ნაკრძალსა და აღკვეთილში: ქართული მუხა (*Quercus iberica*), ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), იმერული ხეშავი (*Rhamnus imeretina*), შქერი (*Rhododendron ponticum*), თავისარა (*Ruscus ponticus*), ძმერხლი (*Ruscus colchicus*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea pontica*), კავკასიური (მაღალი) მოცი (*Vaccinium arctostaphylos*), კოლხური ბუხა (*Buxus colchica*), კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica*), აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*), ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*), ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვა. სათაფლიის ტერიტორიაზე გვხვდება 3 ეგზოტიკური მერქნიანი სახეობა: ყირიმული ფიჭვი (*Pinus nigra subsp. pallasiana*), ცრუ აკაცია (*Robinia pseudoacacia*) და მარადმწვანე კვიპაროზი (*Cupressus sempervirens*). ნაკრძალსა და აღკვეთილში გავრცელებული ხემცენარეებიდან განსაკუთრებით კარგი განვითარებით ხასიათდება კოლხური ბუხა. იგი ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში კირქვიან შვერილებზე ქმნის საკმაოდ დიდ კორომებს.

მუხლი 14. ფაუნა

1. სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე ხერხემლიანი ცხოველებიდან გვხვდება ამფიბიების, ქვეწარმავლების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების წარმომადგენლები, რომლებიც განაწილებული არიან ტყის სხვადასხვა ტიპებსა და ასოციაციებში შესაბამისი ჰაბიტატის ფარგლებში, თუმცა ზედაპირული წყლების არარსებობის გამო თევზებისა და მრგვალპირიანების წარმომადგენლები ნაკრძალის ტერიტორიაზე არ გვხვდება.

2. სათაფლიის ნაკრძალისა და აღკვეთილის ძუძუმწოვართა ფაუნა დიდი მრავალფეროვნებით და ინდივიდთა სიჭარბით არ გამოირჩევა. აქ ძირითადად გავრცელებულია საშუალო და მცირე ზომის ძუძუმწოვრები. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ნაკრძალის ტერიტორიის სიმცირე – ის 330 ჰექტარს შეადგენს, რაც მსხვილი ზომის ძუძუმწოვრებისთვის საკმარის ჰაბიტატს ვერ უზრუნველყოფს. საქართველოში გავრცელებული 109 სახეობის ძუძუმწოვრიდან, რომლებიც გაერთიანებული არიან 8 რიგში, ნაკრძალის ტერიტორიაზე გვხვდება 28 სახეობის ძუძუმწოვარი, რომლებიც ეკუთვნის 5 რიგს და 10 ოჯახს.

3. მწერიჭამიები: მწერიჭამიების შემდეგი სახეობები შეინიშნება: სამხრეთული თეთრგულა ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური და ლევანტის თხუნელა (*Tapla caucasica*, *T. levantis*), დიდი და გულდენშტადტის კბილთეთრები (*Crociduraleucodon*, *C. suoveolens guldenstaedti*), სატუნინის ბიგა (*Sorex satunini*).

4. ლამურები: მღვიმეები და მიმდებარე ტყეები ოპტიმალური ჰაბიტატებით უზრუნველყოფს ლამურებს; ზოოლოგებს შორის სათაფლია კარგადაა ცნობილი თავისი ლამურების თემით. *Rhinolophus* გვარში გვხვდება:



დიდი ცხვირანალა (*Rhinolophus ferrumequinum*), პატარა ცხვირანალა (*Rhinolophus hipposideros* Bechtein); Vespertilionidae ოჯახის ან საერთო ღამურების ფარგლებში ვხვდებით: მლამიობი (*Myotis myotis*), ყურგრძელი მლამიობი (*Myotis bechsteini*), ნატერარის მლამიობი (*Myotis nattereri*), ულვაშა მლამიობი (*Myotis mystacinus*), მცირე მეღამურა (*Nyctalis leisteri*) და წითური მეღამურა (*Nyctalis noctula*). მღვიმეების როლი ღამურების, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სახეობების პოპულაციების შენარჩუნებაში განსაკუთრებით გამოსაყოფია. ამასთან დაკავშირებით, ღამურების პოტენციალური შემაწუხებელი ფაქტორები (ძლიერი განათება, ხმაური) მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

5. მღრღნელები: სათაფლია მასპინძლობს სხვადასხვა მღრღნელებს, როგორცაა: ძილგუდა (*Glis glis*), ტყის თაგვები (*Apodemus uralensis*, *A. mystacinus*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Microtus majori*), ფოთლოვან ტყეში მოსალოდნელია კავკასიური ციყვის არსებობაც (*Sciurus anomalus*); კურდღლისნაირებიდან – ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*).

6. სხვა მსხვილი ძუძუმწოვრებიდან შემდეგი სახეობები გვხვდება სათაფლიის ნაკრძალში: თეთრი (კლდის) კვერნა (თეთრგულა) (*Martes foina*), მაჩვი (*Meles meles*), წითელი მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), ტყის კატა (*Felis sylvestrus*), იშვიათად – შველი (*Capreolus capreolus*).

7. ფრინველები: ნაკრძალისა და აღკვეთილის ფრინველებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ნაკრძალის კომპლექსისთვის, მაგალითად მცენარეების დაცვის კუთხით, ხილისა და თესლის გავრცელებისთვის, ასევე ესთეტიკური და სამეცნიერო აღქმის თვალსაზრისით. ფრინველების განაწილება ნაკრძალში დამოკიდებულია ტყეების ტიპებსა და მახასიათებლებზე. ნაკრძალის ტერიტორიაზე აღწერილი ფრინველების რიცხვი არაა საბოლოო, ორინტოლოგების მიერ მოსალოდნელია რაოდენობრივი და დამატებითი სახეობრივი ცვლილებები. ნაკრძალში გავრცელებული 39 სახეობის ფრინველებიდან 24 სახეობა გადამფრენია, ხოლო 15 სახეობა – მოზუდარი. ნაკრძალში მოზინადრე ფრინველები მიეკუთვნებიან ფრინველთა ნომენკლატურის 7 რიგს (სახეობების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში 5ბ).

8. ქვეწარმავლები: სათაფლიის ნაკრძალის ქვეწარმავალთა ფაუნა შეიძლება ჩაითვალოს ზომიერად მრავალფეროვნად. ტერიტორიაზე გავრცელებული 6 სახეობის ხვლიკიდან ერთი – კოლხური ბოხმეჭა (*Anguis colchicus*) ეკუთვნის ბოხმეჭების ოჯახს – Anguidae. დანარჩენი 5 სახეობა ეკუთვნის ნამდვილი ხვლიკების ოჯახს – Lacertidae: მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ართვინის ხვლიკი – *Darevskia derjugin*, ქართული ხვლიკი – *Darevskia rudis*. კოლხური ბოხმეჭა და ართვინის ხვლიკი კავკასიის ეკორეგიონის ენდემებია. გველების ოჯახს რაც შეეხება, აქ არსებობს სამი ანკარასებრნთა (Colubridae) სახეობა: ჩვეულებრივი სპილენძა (*Coronella austriaca*), ესკულაპის მცურავი (*Zamenis longissimus*), ამიერკავკასიური მცურავი (*Zamenis hohenackeri*), და ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*).

9. ამფიბიები: სათაფლიის ნაკრძალში და აღკვეთილში გავრცელებულია 5 სახეობის ამფიბია: ჩვეულებრივი (კავკასიური) გომბეშო (*Bufo (bufo) verrucosissimus*), მწვანე გომბეშო (*Pseudipidalea viridis*), აღმოსავლური ვასაკა (*Hyla orientalis*), ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*), მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macronemis*). სათაფლიის ტერიტორიაზე ამფიბიები არათანაბრად არიან განაწილებული, ხოლო გამრავლების პერიოდში მათი უმრავლესობა ტოვებს ნაკრძალს და ახდენს მიგრაციას მიმდებარე ტერიტორიაზე (მაგ.: სოფელ ბანოჯის უბნებსა და გუმათჰესის წყალსაცავისკენ).

10. მღვიმის უხერხემლოები (მწერების გარდა) განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვიმის სახეობები – ობობასნაირები, კიბოსნაირები, მოლუსკები. მათი ნაწილი წარმოადგენს მიოცენის რელიქტს: ამ ფაუნისტური კომპლექსის გაჩენას წინ უძღოდა უძველესი პარატეტისის ზღვის ნაწილებად დაშლა 6-7 მილიონი წლის წინათ, ამ მოვლენამ კი ჩაკეტა მრავალი პოპულაცია ახლად გაჩენილ შიდა წყალსატევებში. იმერეთის მღვიმეების რელიქტური და ენდემური მღვიმის კრევეტი (*Troglocharis kutaissiana*) ენათესავება ბალკანების ნახევარკუნძულის მღვიმეების კრევეტებს, თუმცა მათგან 6 მილიონ წელიწადზე მეტი დამოუკიდებელი არსებობა ამორებს.

11. ენტომფაუნა: სათაფლიის ნაკრძალისა და აღკვეთილის მწერთა ფაუნა საკმაოდ მდიდარია, თუმცა დღეისათვის იგი არ არის სრულყოფილად შესწავლილი. არსებული მასალების საფუძველზე, ცნობილია, რომ ნაკრძალი გამოირჩევა ხოჭოების მრავალფეროვნებით. ისინი სხვადასხვა ზომითა და შეფერილობით გამოირჩევიან. მათ შორის, ტკაცუნა ხოჭოები ფირფიტულვაშიანები, ცხვირგრძელები და შავტანებია (*Tenebrionidae*), ზოგიერთი მათგანი „საპროფაგების“(იკვებება ნიადაგის ორგანული ნივთიერებებით) როლს ასრულებენ ნიადაგში. ზოგიერთი ხოჭო მერქნიანი მცენარეების მავნებელია დაცულ ტერიტორიაზე აღწერილია ბზუალა ხოჭოების (*Carabidae*) 48 სახეობა. აქ ასევე გავრცელებულია ჭიამაიები (*Coccinellidae* – 7 სახეობა), რომელთაც ფრთებზე განსხვავებული რაოდენობის წერტილები აქვთ და 6 სახეობის ბუგრი (ფრინველებსა და ფრინველის ბუდეებში ბინადრობენ), აგრეთვე პარაზიტი ენცირტიდების სახეობა.



12. ცნობილია, რომ სათაფლიის მთას სახელწოდება სწორედ ფუტკრებისა და თაფლის უხვი მოსავლიანობის გამო დაერქვა. ამის შემდეგ დაცულ ტერიტორიას ეწოდა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი. აღნიშნული მთა მოკლელვანშიან ფუტკრების 2 ფორმის საუკეთესო საბინადრო გარემოა.

13. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ნაკრძალის ტერიტორია მწერების უდავოდ ყველაზე ლამაზი წარმომადგენლებით – პეპლებით მშვენდება. მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი მზომელების (Geometridae) ოჯახი, რომელთა 59 სახეობის პეპელაა აქ გავრცელებული. დღის პეპლების შესახებ ინფორმაცია მწირია, თუმცა აქ გვხვდება ათეულობით მათი სახეობა – ხავერდულები (Satyridae), ცისფრულები (Lycaenidae), ნიმფალიდები (Nymphalidae), თეთრულები (Pieridae) და იალქნები (Papilionidae).

14. ორფრთიანების რიგი წარმოდგენილია მაწუხელების (Tabanidae), კოლოებისა (Culicidae) და სირფიდების (Syrphidae) ოჯახების წარმომადგენლებით.

15. სხვა უხერხემლოებს (არა მღვიმის სახეობებს) საქართველოში 224 სახეობის ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკია ცნობილი, ხოლო სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში გვხვდება 18 სახის ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკი.

მუხლი 15. ტურიზმი და რეკრეაცია

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და დამთვალიერებელს სთავაზობს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, კარგად განვითარებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას. მისი პოპულარობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე განუწყვეტლივ იზრდება. ვიზიტორებისათვის მუდმივად ხდება სერვისების გაუმჯობესება და ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება.

2. პრომეთეს მღვიმე ერთ-ერთია საქართველოს ბუნებრივი საოცრებებიდან, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს კარსტული წარმონაქმნების თვალწარმტაც ნიმუშებს. დღემდე მღვიმეში სულ აღმოჩენილია 22 დარბაზი (5 დარბაზი აღმოჩენილი იქნა 2014 წელს, რომელთა შესწავლა ამჟამად მიმდინარეობს), აღმოჩენილი დარბაზებიდან მხოლოდ 6 დარბაზია კეთილმოწყობილი. ტურისტული ბილიკის სიგრძე 1.420 მ-ია, რომელიც 380 მეტრი სიგრძის ულამაზესი ტბით ბოლოვდება. ტბაზე ვიზიტორებს შეუძლიათ ნავით გაისეირნონ.

3. სათაფლიას ინფრასტრუქტურა მოიცავს ვიზიტორთა ცენტრს (სასტუმრო, საკონფერენციო დარბაზი, მცირე კინოდარბაზი), დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობას, საგამოფენო დარბაზს, შუშის პანორამულ გადასახედს, კაფეებს, სუვენირების მაღაზიებს, კეთილმოწყობილ მღვიმესა და მარკირებულ ბილიკებს. პალეონტოლოგიური თვალსაზრისით, ეს ადგილი ერთ-ერთი უმდიდრესია დედამიწაზე, ვინაიდან ერთსა და იმავე ტერიტორიაზე წარმოდგენილია როგორც ბალახისმჭამელი, ასევე ხორცის მჭამელი დინოზავრების ნაკვალევი, რომლებიც 120 000 000 წლის წინათ აქ ბინადრობდნენ. სათაფლიის მღვიმე შედარებით პატარა კარსტული მღვიმეა (მღვიმის ჯამური სიღრმე შეადგენს 900 მეტრს, ხოლო ტურისტული ბილიკის სიგრძე 310 მ-ია), მაგრამ იგი თავისი მშვენიერი კარსტული წარმონაქმნებით და სინათლის ეფექტებით მაინც ხიბლავს ადამიანს. ყურადღებას იპყრობს ლამაზი სტალაგმიტები, სტალაქტიტები და სტალაგნატები. ამასთანავე, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მნახველებს სთავაზობს რეკრეაციულ ღონისძიებებს, როგორცაა მარკირებული ბილიკები კოლხურ ტყეში.

4. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი მოიცავს ვიზიტორთა ცენტრს (კაფეტერია, საგამოფენო დარბაზი, სუვენირების მაღაზია), კეთილმოწყობილ საფეხმავლო ბილიკებსა და კიდულ კონსოლურ ბილიკს კანიონში.

5. ვიზიტორებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ სპეციალური ეკოლოგიური, სპელეოლოგიური, პალეონტოლოგიური ან ფოტოგრაფიული ტურები იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე.

6. მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე განვითარებული ტურიზმის სახეობაა კულტურული და არქეოლოგიური ტურები. დამატებით, შესაძლებელია ეთნოგრაფიული და ღვინის ტურების ორგანიზება ულამაზეს იმერეთის სოფლებში.

მუხლი 16. მეცნიერება და განათლება

1. ტურიზმის ასპექტის გარდა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი წყაროა მეცნიერების, სწავლისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით.



2. სამეცნიერო და საგანმანათლებლო თვალსაზრისით მღვიმის ჰაბიტატები და მიმდებარე კოლხური ტყეები მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენს. ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემების უმრავლესობა სათაფლიასთან დაკავშირებით მოიპოვება, ხოლო ბუნების ძეგლების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია.

3. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს დიდი პოტენციალი აქვთ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისთვის. სურვილის შემთხვევაში უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ კვლევები იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ისეთ დარგებში, როგორცაა: ენტომოლოგია, უმარტივესების ზოოლოგია, პალეონტოლოგია, გეოლოგია და სპელეოლოგია. აქვე ცალკე კვლევად შესაძლებელია გამოიყოს ღამურების თემა, როგორც ინდიკატორი სახეობა ბიოლოგიური კონსერვაციის კუთხით.

4. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მნიშვნელოვან სანახაობრივ ტერიტორიას წარმოადგენს. სათაფლიის აღკვეთილსა და ოკაცეს კანიონში მათ შეუძლიათ სპეციალურ, ბუნებაში მოწყობილ საგანმანათლებლო მოედნებზე ჩაატარონ ღია გაკვეთილები. ამჟამად, სხვადასხვა სკოლა იყენებს დაცულ ტერიტორიას ექსკურსიებისთვის. ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ თანამშრომლობის შეთანხმებები გააფორმონ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან.

მუხლი 17. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა

1. სათაფლიის ნაკრძალის, სათაფლიის აღკვეთილის, პრომეთეს მღვიმის, ხომელის მღვიმის, ოკაცეს კანიონის, მუხურა ჩანჩქერის და წყალწითელის ხეობის საზღვრებს შიგნით არსებული მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, რომელსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. იმ ბუნების ძეგლების ნაწილი, რომლებიც წარმოადგენს მღვიმეებს და ოკაცეს ჩანჩქერი, განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო მათ ზედაპირზე არსებული მიწები სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაა.

2. საკუთრების, სარგებლობისა და მართვის საკითხები განისაზღვრება მათი კატეგორიებისა და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიხედვით, როგორც ეს აღწერილია საქართველოს კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ მე-12 მუხლში. მე-12 მუხლის 2¹ პარაგრაფის თანახმად, „ბუნების ძეგლის მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით შესაძლებელია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბუნების ძეგლის სარგებლობაში გადაცემა მხოლოდ ეკოტურიზმისა და რეკრეაციული მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ და იმავე მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით „დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, მასზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, ბუნებრივ-კულტურულ და ისტორიულ-კულტურულ ობიექტებზე სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად დაშვებულია საკუთრების სხვა ფორმებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

3. იგივე მიწათსარგებლობის შეზღუდვები, როგორცაა სათაფლიის ნაკრძალზე, ვრცელდება სათაფლიის აღკვეთილზეც, ერთი გამონაკლისით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში, რომ განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება დასაშვებია დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლის ქვეშ. სათაფლიის აღკვეთილი საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაიყოს ცალკეულ ზონებად, რაც კიდევ უფრო მეტად განსაზღვრავს მიწათსარგებლობის შეზღუდვებს აღკვეთილის გარკვეულ ტერიტორიებზე. კანონის თანახმად, ეს უნდა განისაზღვროს მენეჯმენტის გეგმაში. ამჟამად, აღკვეთილი მხოლოდ ეკოტურიზმის მიზნებისთვის გამოიყენება.

მუხლი 18. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მიმდებარედ შესაძლებელია ქართული ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების ნახვა. მაგალითად, არქეოლოგიური ძეგლი – ანტიკური ქალაქი ვანის ნაქალაქარი, რომელიც განადგურდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში. აქ შემორჩენილია გალავნისა და ჭიშკრის ნაშთები, ასევე საკულტო შენობების ნანგრევები და ნაგობობები. აქ აღმოჩენილი ყველა არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს საქართველოს ოქროს ფონდის რეალურ სილამაზეს. XII საუკუნის გელათის სამონასტრო კომპლექსი და XI საუკუნის ბაგრატის ტაძარი, რომლებიც იუნესკოს (UNESCO) მიერ არის დაცული, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი და X საუკუნის მოწამეთას მონასტერი. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისაკენ გზად მიმავალს შეგხვდება ქრისტიანული კულტურის ძეგლი – IX საუკუნის უბისას მონასტერი.

მუხლი 19. ადგილობრივი ეკონომიკა დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში



1. იმერეთის რეგიონი წარსულში მსხვილ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა, რომელიც თავისი პროდუქციის 80 პროცენტს საბჭოთა კავშირში აგზავნიდა. ამჟამად რეგიონი იმყოფება პოსტსაბჭოური ეკონომიკის ნგრევის შედეგად მიყენებული ზიანის წინაშე. ქ. ქუთაისი და ზოგადად იმერეთის რეგიონი ეკონომიკური აღმავლობისათვის ახორციელებს სხვადასხვა სახის რეფორმებს.

2. დიდი რაოდენობის ტურისტის სტუმრობა იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე, რაც წარმოშობს უზარმაზარ პოტენციალს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის. მაგალითად, როგორცაა: სასტუმროებისა და ღამის გასათევი საოჯახო სასტუმროების პატარა ქსელის არსებობა, საჯარო და კერძო ტრანსპორტი, საკვები ობიექტების სერვისების შეთავაზება, რეგიონალური სოფლის მეურნეობის პროდუქტები, სუვენირები და სხვა.

თავი III გრძელვადიანი მიზნები

მუხლი 20. გრძელვადიანი მიზნები

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის გრძელვადიანი მიზნები – მდგომარეობა, რომლის მიღწევასაც დაცული ტერიტორიების სააგენტო მიზნად ისახავს 20-25 წლის ვადის გასვლის დროისათვის – შემდეგია:

ა) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების სპელეოლოგიურ, გეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ ღირებულებებთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი მომავალი თაობებისათვის კარგად არის კონსერვირებული, ხოლო ტურისტულად მოწყობილი მღვიმეების მართვა ხდება მღვიმის გარემოზე რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენის გარეშე. ტურისტულად მოუწყობელი მღვიმეებისათვის მიზანს წარმოადგენს მათი კონსერვაციის უზრუნველსაყოფად ოპტიმალური კლიმატური პირობების შენარჩუნება;

ბ) ბიომრავალფეროვნების, ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვასთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება ეფექტურად არის დაცული ბიოლოგიური პროცესებისა და სახეობების მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უნიკალურ კოლხურ ტყეებზე ყურადღების გამახვილებით. დაცული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი სახეობები და ჰაბიტატები, ჯანსაღ მდგომარეობაშია და ვიზიტორებს შეუძლიათ, ბილიკებზე გადაადგილებისას ისიამოვნონ ბუნებით. მღვიმეების ბიომრავალფეროვნება ეფექტურად არის დაცული მომავალი თაობებისთვის. მოსახლეობის ინფორმირებულობა გარემოსთან დაკავშირებით მაღალია, ისინი აცნობიერებენ ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას და მხარს უჭერენ ადმინისტრაციას მის დაცვაში;

გ) ტურიზმთან დაკავშირებული მიზნები:

გ.ა) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები წარმოადგენს როგორც ეროვნულს, ისე საერთაშორისო დონეზე ცნობილ, სასურველ ტურისტულ ადგილებს, ამავდროულად ვიზიტორებს სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალი ხარისხის მომსახურებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ყველა საქმიანობა ჰარმონიზებულია მღვიმეებისა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების გარშემო არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიმდინარე ხარჯების დაფარვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს;

გ.ბ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მთელი ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით სახელგანთქმულია, როგორც „სპელეოთერაპიის მნიშვნელოვანი ცენტრი“ და აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ასევე, სახელგანთქმულია კარგად მომზადებული სპეციალისტებით განკურნებული პაციენტების მზარდი რიცხოვნობით და მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო პროფილის ადგილობრივ ინსტიტუტსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებთან;

გ.გ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები საქართველოს მდიდარ ბუნებრივ კულტურულ



მემკვიდრეობას წარმოადგენს. ყველა ბუნებრივ - კულტურული ძეგლი, მაგალითად, როგორცაა ცუცხვათის მღვიმე, კარგადაა კონსერვირებული, რომელიც ტურისტული ბილიკებისა და ლაშქრობის მარშრუტების შემადგენელი ნაწილია როგორც დაცული ტერიტორიების შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად ეფექტურად მუშაობს იმისათვის, რომ ამაღლდეს ცნობიერება ბუნების ძეგლების შესახებ და ხაზი გაესვას მათ ღირებულებას;

დ) ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა კარგად არის ადაპტირებული ლანდშაფტზე, მინიმალურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე და მისი ტექნიკური მომსახურება გამართულია. ინფრასტრუქტურის ელემენტები შეესაბამება ვიზიტორთა გაზრდილ მოთხოვნილებებს - მაგალითად, ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რამდენადაც მისი გამოყენება გონივრულად პრაქტიკულია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით - რაც ტურისტებისთვის მაქსიმალური კომფორტის შეთავაზებას გულისხმობს. ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური მომსახურების გაწევისათვის ადმინისტრაციას გააჩნია სათანადო ადამიანური რესურსი.

ე) სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები სამეცნიერო დაწესებულებებისათვის უნიკალურ ადგილს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია სპელეოლოგიური, გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ზოოლოგიური, ბოტანიკური და სხვა სახის კვლევების ჩატარება. იმპლემენტირებული კვლევების შედეგები შესაბამისად უზრუნველყოფს ტურიზმის მიერ მღვიმეებსა და მის შემოგარენზე ნებისმიერი სახის უარყოფითი ზეგავლენის დაუშვებლობას. ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან გაფორმებულია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები;

ვ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები:

დაცული ტერიტორიები ადგილობრივი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. მომიჯნავე სოფლების მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული ვიზიტორთათვის სხვადასხვა სახის მომსახურებების შეთავაზებაში, იქნება ეს საოჯახო სასტუმროში დაბინავება, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისა და სუვენირების შეთავაზება თუ სხვა, რითაც იქმნიან შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს და ზოგადად აუმჯობესებენ რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ადგილობრივი მოსახლეობა მხარდაჭერას უცხადებს დაცულ ტერიტორიებს და აღნიშნულით რეგიონული განვითარების ტემპს უწყობს ხელს;

ზ) სამოქალაქო თავდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებული მიზნები:

ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია საგანგებო სიტუაციების დროს მღვიმეების თავშესაფრებად გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან, საგანგებო სიტუაციებისათვის მღვიმეებში არსებობს სათანადო აღჭურვილობა, სათადარიგო გეგმები შემუშავებულია და მოსახლეობა სათანადოდ არის ინფორმირებული;

თ) ეკოგანათლებასთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები შესაბამისი დაწესებულებების მიერ საქართველოში „რეგიონულ ეკოსაგანმანათლებლო ცენტრად“ არის მიჩნეული. ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობის გზითა და მონაწილეობითი მეთოდის გამოყენებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ეკოსაგანმანათლებლო მომსახურებებს, შესაბამის საგანმანათლებლო შენობა-ნაგებობებს. ეკოსაგანმანათლებლო ბილიკების გამოყენებით იძლევა შენობებსა და ღია ცის ქვეშაც ღონისძიებების ჩატარების საშუალებას. შემუშავებული აქვს სტაჟირების მექანიზმი და სპეციალიზებული პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. გარემოსთან დაკავშირებით გათვითცნობიერებულობის დონე სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის სტაბილურად მზარდია;

ი) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ეფექტურ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიზნები:

იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ეკოტურიზმისა და კვალიფიციური საჯარო მომსახურების შეთავაზების კუთხით მასზე დაკისრებული ფუნქციების



შესასრულებლად ჰყავს სათანადოდ გადამზადებული ოპტიმალური რაოდენობის კადრები. დაცული ტერიტორიების ეფექტური ადმინისტრირების, არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურებისა და ქმედებების/ოპერაციების განხორციელებისათვის ადმინისტრაციას გააჩნია საჭირო ფინანსური რესურსები.

თავი IV სიტუაციური ანალიზი

მუხლი 21. ბუნებრივი რესურსების დაცვა

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ძირითადად პატარა სოფლებით არის გარშემორტყმული. ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრება დაბალ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უხდება. მწირი ნიადაგის გამო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები შეზღუდულია (მცირე მასშტაბით ხდება პირუტყვისა და ფრინველის მოშენება, ჩირის წარმოება და სხვ.), მაგრამ მოსახლეობა ძირითადად ან რეგიონულ ცენტრებშია დასაქმებული ან კიდევ ემიგრირებულია სხვა ქვეყნებში. საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით აქ ძალზედ ლიმიტირებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, შესაბამისად, მოქმედებს დაცვის ეფექტური ღონისძიებები. ადგილობრივი მოსახლეობა დაცული ტერიტორიების შემოგარენიდან საკუთარი მოხმარებისათვის აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს, სოკოებს და სხვადასხვა კენკროვან ხილს.

2. ამჟამად არსებული მონაცემების შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების ტენდენციების მდგომარეობა არასათანადოა. მაგალითად, ზოგიერთი ღამურის სახეობა, რომელთაც ადრე ხშირად შეხვდებოდით სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმეებში, მინიმალური რაოდენობითაა წარმოდგენილი (ღამურებზე დაკვირვების რამდენიმე კვლევის თანახმად, რომლებიც განხორციელდა ღლიანას, მელოურის, სოლკოტას, ბღერისა და საწურბლიას მოუწყობელ მღვიმეებში, მათი არსებობა დადასტურებულია). ასეთივე მდგომარეობაა ხემცენარეებთან მიმართებაში. კოლხური ბზა დაავადებულია მავნებელი სოკოს მიერ.

3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილება დაკომპლექტებულია 1 დაცვის განყოფილების უფროსით, 2 უბნის უფროსი რეინჯერითა და, ამჟამად, 16 რეინჯერით. განყოფილებას ასევე ეხმარება ბუნებრივი რესურსების მართვის 2 უფროსი სპეციალისტი (აქედან ერთი პოზიცია ვაკანტურია). დამატებითი მონაცემები შეჯამებულია 27-ე მუხლში „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის გაძლიერება“. დაცვის განყოფილების თანამშრომლები კარგად არიან მომზადებულნი მათი ფუნქციების შესასრულებლად, თუმცა დროდადრო მათ დამატებით უწევთ ისეთი ფუნქციის შესრულებაც, რაშიც არ გაუვლიათ სპეციფიური ტრენინგი, მაგ.: ვიზიტორთა მართვა ზაფხულის თვეებში, პირველადი სამედიცინო დახმარება, სამაშველო ღონისძიებები, ინფრასტრუქტურის მართვა.

4. განყოფილება აღჭურვილია 3 ავტომანქანით (ერთი მათგანი ეკუთვნის დაცვის განყოფილების უფროსს, ხოლო 2 – უბნის უფროს რეინჯერებს), ამას გარდა, ასევე დაცვის უფროსა და უბნის უფროს რეინჯერზე განპირობებულია 2 ცეცხლსასროლი იარაღი. მონიტორინგისათვის ადმინისტრაცია იყენებს 5 ფოტოხაფანგს და ყველა თანამშრომელი შემოსილია უნიფორმით. კომუნიკაციის საშუალებებიდან ადმინისტრაციას გააჩნია 8 რაცია. ადმინისტრაციას გააჩნია 4 კომპლექტი ხანძარსაწინააღმდეგო უნიფორმა, ერთი ცალი შესასხურებელი ცეცხლმაქრი და 20 ერთეული სპელეოლოგიური აღჭურვილობა.

5. 2010 და 2013 წლებში გაიზარდა პატრულების რაოდენობა და შესაბამისად, გაიზარდა პატრულირებისა და ფარული მანძილიც. დაცვის განყოფილების ფუნქციონირების შემდგომი გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა გამოვლენის ეფექტური პროგრამის შემუშავებისათვის 2013 წელს მოხდა პატრულირების გეგმების და მარშრუტების განახლება.

6. კანონის დარღვევის ტენდენცია საქართველოს ყველა დაცულ ტერიტორიაზე ზოგადად კლებადია. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შემთხვევაში უკანონო მოვება და პირუტყვის გადაადგილება პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით სათაფლიის ალკვეთილში. თანამშრომლებს დადებითი და მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოსახლეობის ცნობიერება არის მაღალი, რაც აისახება მათი დამოკიდებულებით დაცული ტერიტორიისადმი და ამის შედეგად სამართალდარღვევების რიცხვი კლებულობს.

7. მაისი-ოქტომბრის თვეებში დაცულ ტერიტორიებზე აღინიშნება ვიზიტორთა დიდი ნაკადები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიებს რეკრეაციული ღონისძიებებისათვის იყენებენ; შესაბამისად, შედარებით მაღალია შემთხვევითი ხანძრის გაჩენის საშიშროება, განსაკუთრებით კი ტრადიციულ საპიკნიკე ადგილებში დაცული ტერიტორიის გარეთ. ადმინისტრაცია სრულყოფილად არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით,



ხოლო დაცვის განყოფილების მიერ ზაფხულის განმავლობაში ხდება ინტენსიური პატრულირება. ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების თაობაზე რეგულარულად მიეწოდება ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას.

მუხლი 22. კვლევა და მონიტორინგი

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მოძველებული სამეცნიერო კვლევითი მასალები, რომლებიც სათაფლიის ფლორისა და ფაუნის (მასალები არსებობს, მაგრამ ადმინისტრაციაში არ არის, თუმცა ჩატარებული კვლევების სია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალურ ოფისშია) შესახებ მხოლოდ დანაწევრებულ ინფორმაციას შეიცავს. სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმის გარდა სხვა ბუნების ძეგლებისათვის არ არსებობს ყოვლისმომცველი ინვენტარიზაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს. მნიშვნელოვანი საინფორმაციო ვაკუუმი იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების, სახეობების გავრცელებისა და კონსერვაციის სტატუსის, მცენარეებისა და ცხოველების ენდემური სახეობების, მავნე სახეობების პათოლოგიური გამოკვლევებისა და ა.შ. შესახებ.

2. ამჟამად იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს შემდეგი სამეცნიერო კვლევები:

ა) საქართველოს კარსტული მღვიმეების უხერხემლო ცხოველთა ბიომრავალფეროვნება;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების სოკოების, ლიქენების, ხავსების და წყალმცენარეების ბიომრავალფეროვნება;

გ) ენტომოლოგიური კვლევები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ.

3. კვლევების განხორციელების ერთიანი სისტემა არ არსებობს (კვლევისა და მონიტორინგის სახელმძღვანელო წესები, მეთოდოლოგია, მონაცემთა მოპოვებისათვის აუცილებელი პირობები და ა.შ.). მცირე გამონაკლისის გარდა, არ ხორციელდება სამეცნიერო კვლევები და, ზოგადად, სამეცნიერო კვლევების ჩატარების დაფინანსება არასაკმარისია.

4. მონიტორინგთან დაკავშირებით იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ყოველწლიურად ამზადებს ბუნების მატრიანეს. მატრიანეში მოცემულია ინფორმაცია მეტეოროლოგიური მონაცემებისა და მღვიმეების მიკროკლიმატური მონაცემების შესახებ, ფაუნისა და ფლორის სიები, ცხოველების რაოდენობა, ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები და ტურიზმის მონაცემები. ადმინისტრაციაში არის ერთი ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი და ერთი ვაკანტურია, მონიტორინგთან დაკავშირებით დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ გარკვეული ტრენინგი (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2013). დაცვის განყოფილება აღჭურვილია 2 GPS აპარატურით და ფლობს მისი გამოყენების წესებს. მონიტორინგის კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მუშუმწოვრების მონიტორინგი ამჟამად 5 ფოტოხაფანგის გამოყენებით ხორციელდება სათაფლიის ნაკრძალსა და ალკვეთილში. 2013 წლის განმავლობაში გადაღებული იქნა 135 ფოტოსურათი და 43 ვიდეოჩანაწერი;

ბ) როგორც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ბზების დაავადებას აქაც განსაკუთრებული ყურადღება და რეგულარული მონიტორინგი ესაჭიროება. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწვეული იყვნენ საერთაშორისო სპეციალისტები და ამჟამად „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN) აწარმოებს გამოკვლევას. ზოგადად, სიტუაცია უარესდება. ამას გარდა, ფიქსირდება წაბლის ხეებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ასევე საჭიროებს მონიტორინგს;

გ) ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტმა (2012 – 2013 წლები) განახორციელა ტემპერატურის, ტენიანობის, ნახშირორჟანგის და რადონის კონცენტრაციის მონიტორინგი სათაფლიის, პრომეთესა და საწურბლიას მღვიმეებში. ჩეხი ექსპერტების მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგად მღვიმეების მონიტორინგის სისტემა გაუმჯობესდება, ასევე საბოლოო ანგარიში მოიცავს რეკომენდაციების სიას მღვიმეების მოვლა-შენარჩუნებისა და დაცვის შესახებ, რაც დაფუძნებულია მონიტორინგის შედეგებზე. სპელეოთერაპიისათვის მოხდა ზოგიერთი მღვიმის ვარგისიანობის შეფასება;

დ) მიუხედავად იმისა, რომ პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებსა და ტყის ზოგიერთ ადგილებში ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგი, არსებობს მონიტორინგის პროგრამის გაძლიერების აუცილებლობა.



მაგალითად, საჭიროა ყველა დანარჩენი ბუნების ძეგლის (მღვიმეები და მათი ზედაპირული ტერიტორიები) აბიოტური და ბიოტური მონაცემების, ეკოლოგიური მდგომარეობისა და ა.შ. სისტემატური მონიტორინგი. მონიტორინგის ამჟამად არსებული სისტემა არაადეკვატურია ჰაბიტატებისა და სახეობების გავრცელების კუთხით მიმდინარე ცვლილებების გამოვლენისათვის. არ არსებობს მონიტორინგის სპეციალისტი;

ე) პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებში მცენარეულობის ზრდის პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ხელოვნური განათებით, საჭიროებს შემდგომ კვლევას.

მუხლი 23. ტურიზმი

1. იმერეთის მღვიმეები კავკასიის რეგიონში ტურისტული დანიშნულების ცნობად და სახელგანთქმულ ადგილს წარმოადგენს. პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები განთქმულია სათაფლიაზე აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევით, და სპეციალისტების მოსაზრებით, ამ კუთხით, ის მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ ადგილს წარმოადგენს. დინოზავრის ნაკვალევი აქ შემორჩენილია ორი გეოლოგიური პერიოდიდან და სათაფლიაზე წარსულ პერიოდში გავრცელებული დინოზავრები საკუთარ სპეციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან პალეონტოლოგიაში. ქუთაისის აეროპორტთან და ქვეყნის მთავარ სამანქანო/სარკინიგზო მაგისტრალთან დაცული ტერიტორიების სიახლოვის გამო ტუროპერატორებისა და ინდივიდუალური ტურისტებისათვის სირთულეს არ წარმოადგენს აღნიშნულ ადგილებამდე მისვლა. მღვიმეების დათვალიერება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის ვიზიტორთა მართვის კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ქუთაისისა და ქუთაისის აეროპორტში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

2. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე არსებობს სპეციალურად ტურიზმისათვის განკუთვნილი შემდეგი ინფრასტრუქტურა:

ა) პრომეთეს მღვიმე: მღვიმე (საფეხმავლო ბილიკი და ნავით გასეირნება), ვიზიტორთა ცენტრი, სუვენირების მაღაზია, საინფორმაციო დაფები;

ბ) სათაფლიის დაცული ტერიტორია: ცენტრალური შესასვლელი, ცოცხალი ორგანიზმების განვითარების შკალა, დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობა, იურული პარკი, სათაფლიის მღვიმე, საგანმანათლებლო მოედანი, საგამოფენო დარბაზი, შუშის პანორამული გადასახედი, ვიზიტორთა ცენტრი (სასტუმრო, საკონფერენციო დარბაზი, მცირე კინოდარბაზი) კაფეები, სუვენირების მაღაზია, საინფორმაციო დაფები და კეთილმოწყობილი ბილიკები;

გ) ოკაცეს კანიონი: ვიზიტორთა ცენტრი საგამოფენო დარბაზით, კაფეტერიითა და სუვენირების მაღაზიით, ავტოპარკინგი. ეზოში საგანმანათლებლო მოედანი მდებარეობს, ხოლო ვიზიტორთა ცენტრიდან კანიონისკენ დადიანების ტყე-პარკის გავლით მიემართება საფეხმავლო ბილიკი. კანიონის შესასვლელში, სადაც გამშვები პუნქტია თავისი საზოგადოებრივი ტუალეტებით, იწყება კიდული ბილიკი კანიონზე გადასახედი პლატფორმით.

3. შექმნის დღიდან იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ შექმნა მომსახურების ფართო სპექტრი და შეიმუშავა მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებები:

ა) პრომეთეს მღვიმე: მრავალენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური) სპელეოლოგიური ტური (საფეხმავლო, სანაოსნო), ავტომატარებლით მომსახურება, ქართულ და ინგლისურ ენებზე საინფორმაციო მასალების რეალიზაცია, სამოქალაქო ქორწინების გაფორმება, საკონფერენციო დარბაზის დაქირავება, სუვენირების მაღაზიის მომსახურებები და დაინსტალირებული საფოსტო ყუთები, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, მაგ., მრავალენოვანი ელექტრონიკის გამოყენება (შესაძლებელია პერსონალურ iPhone-ზე მრავალენოვანი აპლიკაციის ჩამოტვირთვა ან iPhone-ის ქირაობა შესაძლებელი იქნება აგრეთვე ვიზიტორთა ცენტრის მისაღებში);

ბ) სათაფლიის ალკვეთილი: მრავალენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური) პალეონტოლოგიური და სპელეოლოგიური ტური, გასეირნება კოლხურ ტყეში, შუშის პანორამული გადასახედის, ველური ფუტკრის საბინადრო გარემოსა და საგამოფენო დარბაზის დათვალიერება, რეკრეაციული ღონისძიებები, ქართულ და ინგლისურ ენებზე საინფორმაციო მასალის რეალიზაცია, ეკოსაგანმანათლებლო ტურები/პროგრამები - ღია გაკვეთილები საგანმანათლებლო მოედანზე, ფოტო-ტური, მონეტების მოჭრა/გრაჰირება, სამოქალაქო ქორწინების გაფორმება, საკონფერენციო დარბაზის დაქირავება, სასტუმროსა და სუვენირების მაღაზიის და კაფეების სერვისები, დაინსტალირებული საფოსტო ყუთები;

გ) ოკაცეს კანიონი: კანიონის დათვალიერება კიდული ბილიკის მეშვეობით, რეკრეაციული ღონისძიებები,



ფოტოტური, ეკოსაგანმანათლებლო ტურები/პროგრამები - ღია გაკვეთილები საგანმანათლებლო მოედანზე, საგამოფენო დარბაზის დათვალიერება, სუვენირების მაღაზია, კაფეტერია.

4. საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შიგნით ან მის სიახლოვეს არ არის საკარვე ადგილები და ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს კარვების, საძილე ტომრების, ველოსიპედების, ცხენების და ა.შ. გაქირავებას. დაცული ტერიტორიების შიგნით ან მის სიახლოვეს დღემდე მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ტრადიციული ქართული სამზარეულოს მქონე კვების ობიექტები.

5. პრომეთესა და სათაფლიაზე ძირითადად ერთდღიანი პროგრამით ტურისტები მოდიან ინდივიდუალურად. მიუხედავად იმისა, რომ მღვიმეების მონახულება მთელი წლის განმავლობაში შეიძლება, ძირითადი ტურისტული სეზონი მაისი-ოქტომბრის თვეებს მოიცავს და პიკს ივნისის თვეში აღწევს. შაბათ-კვირას ვიზიტორთა რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია. ჯგუფებით დაახლოებით 45-მდე ტურ-ოპერატორის საშუალებით მოდიან, ხოლო ინდივიდუალური ვიზიტორების რაოდენობა სჭარბობს ჯგუფური ვიზიტების რაოდენობას; როგორც წესი, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის სტანდარტული პროგრამა თბილისიდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან იწყება, ღამის გასათევი ადგილი კი ქუთაისსა და წყალტუბოში მათთვის ერთი ღამით იჯავშნება. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ღამის გასათევი ადგილების (სათაფლია) რაოდენობა 16-ია, ხოლო ქუთაისსა და წყალტუბოში – 1000-ზე მეტი.

6. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ჰყავს ორი ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი, ასევე, დამატებით, დამხმარე პერსონალი. ზაფხულის თვეების განმავლობაში დამატებით ხელშეკრულების საფუძველზე, 14 შტატგარეშე თანამშრომელი ემატება. დამატებითი მონაცემები შტატებთან დაკავშირებით იხილეთ 27-ე მუხლში: „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაძლიერება“.

7. ადმინისტრაციული განყოფილების ვიზიტორთა მართვაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს გააჩნიათ სათანადო გამოცდილება, გაიარეს ამ ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული რამდენიმე ტრენინგი და ყველა მათგანი ატარებს სპეციალურ უნიფორმას. წლის განმავლობაში ვიზიტორთა ნაკადი დაუბალანსებელია და ზაფხულის თვეების განმავლობაში ვიზიტორთა განსაკუთრებით მოზღვავებული რაოდენობისას ნაკადის მართვა დაცვის განყოფილების თანამშრომლებს უწევთ.

8. ვიზიტორთა მენეჯმენტის კუთხით საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება, მაგ.: არ არსებობს საკმარისი საინფორმაციო ნიშნები იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების გარეთ (განსაკუთრებით ინდივიდუალური ტურისტებისათვის), ბილეთების შესყიდვის სისტემა არ არის საკმარისად მოქნილი და ტურისტები ახალ დამატებით სერვისებს ითხოვენ (მაგალითად, ბილეთების ინტერნეტით შესყიდვა), არსებული ინფრასტრუქტურა არ არის სრულყოფილად და ეფექტურად გამოყენებული (იხ. აგრეთვე „ინფრასტრუქტურის“ ნაწილი).

9. ზაფხულის თვეებში ტურისტების ჭარბი რაოდენობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებზე, რომლებიც იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მთავარ ტურისტულ ატრაქციონს წარმოადგენს. შესაძლებელია, რომ ვიზიტორთა დიდმა რაოდენობამ ნეგატიურად იმოქმედოს მღვიმეების გარემოზე. არსებობს ვარაუდი, რომ მღვიმეში ვიზიტორთა გამტარიანობას აჭარბებს და ტურიზმი ნეგატიურად მოქმედებს მღვიმეების გარემოზე. იმისათვის, რომ გაფართოვდეს ტურიზმის სერვისები, შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული ზეგავლენის შემცირება ორივე მღვიმეზე, ვიზიტორთა ნაკადების განაწილებით რამდენიმე ტურისტული მომსახურების გამრავალფეროვნების გზით. მაგალითად, ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისათვის-სპეციფიკური ტურების შეთავაზება, სპელეოლოგიური „სათავგადასავლო“ ტურების შეთავაზება მოუწყობელ მღვიმეებში და ა.შ. (ჩეხების პროექტის ბოლო ანგარიში გვაწვდის რამდენიმე იდეას და ღირებულ რეკომენდაციას). ამ საკითხის გადაჭრის გზები უნდა მოიძებნოს, რათა მუდმივად მზარდი ვიზიტორების რაოდენობა დარეგულირდეს.

10. დღესდღეობით ძალიან დიდია წყალტუბოს ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტისა და სხვა დაწესებულებების დაინტერესება იმერეთის მღვიმეებში სპელეოთერაპიის დანერგვის თაობაზე. ადრე „თეთრა მღვიმე“ გამოიყენებოდა მსგავსი მიზნებისთვის, მღვიმეში ჭერის ჩამოშლის შემდეგ დაირღვა მღვიმის კლიმატური მაჩვენებლები და ამ მიზნით აღარ ხდება მღვიმის გამოყენება. ჩეხების პროექტის ერთ-ერთი დავალება იყო შესაფერისი ადგილმდებარეობის შერჩევა მიწისქვეშა თერაპიული კურსის ჩატარებისთვის. შესაბამის მღვიმეებში საჭიროა არსებობდეს სპეციალური მიკროკლიმატური პირობები და „საწურბლიას მღვიმე“ შეირჩა როგორც ყველაზე შესაფერი მღვიმე რამდენიმე მიზეზით: (მიკროკლიმატური მაჩვენებლების წინასწარი შედეგები, მღვიმის ამჟამინდელი მახასიათებლები და მდგომარეობა, ასევე არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად იგი გამოყენებული იყო წარსულში სპელეოთერაპიის მიზნით). საჭიროა უფრო დეტალური კვლევის ჩატარება, მაგალითად: ნეგატიური იონების



კონცენტრაციის დამატებითი მაჩვენებლების გაზომვა, მაგრამ ადმინისტრაციას არ აქვს შესაბამისი მოწყობილობა ამის განსახორციელებლად. ასევე საჭიროა წინადადებების შემუშავება მღვიმის ინტერიერისა და აუცილებელი თერაპიული მოწყობილობების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ფინანსების მოძიება სპელეოთერაპიის განვითარებისთვის.

11. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია სისტემატურად აწარმოებს რეგულარულ ვიზიტორთა გამოკითხვებს (ყოველთვიურ გამოკითხვებში მონაწილეობს სულ მცირე 50 ტურისტი). დეტალური შედეგები შეჯამებულია და მათი ნახვა შესაძლებელია „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტურიზმის სტრატეგიაში“ (ამჟამად ხელმისაწვდომია მხოლოდ სამუშაო ვერსიის სახით).

12. ვიზიტორთა სტატისტიკის მაჩვენებლების საწინააღმდეგოდ, დაცული ტერიტორიების შემოგარენში თითქმის არ არსებობს ტურისტების დაბინავების / ღამის გათევის ადგილები და რესტორნები და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მცირედით ხდება დაცული ტერიტორიების გამოყენება და გარკვეული მომსახურებების შეთავაზების ხარჯზე შემოსავლის ალტერნატიული წყაროს მოძიება, (მაგალითად, ტრანსპორტი, საოჯახო სასტუმროების ქსელის მოწყობა, ადგილობრივი პროდუქტები, სუვენირები და ა.შ.).

13. არ არსებობს ადგილობრივი / რეგიონული პარტნიორების (ადგილობრივი თემები, ტურისტული განათლების სექტორი, ხელოვანები) ჩართვის სტრატეგია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტურისტულ შეთავაზებებში. ასევე იმერეთის რეგიონში არ არსებობს მარკეტინგული ორგანიზაცია, ხოლო ქუთაისში არსებული ტურისტული საინფორმაციო ცენტრი დაინტერესებულ პირებს აწვდის ზოგად ინფორმაციას არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ, თუმცა ეს ტურიზმის განვითარებაზე არ ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენენ რეგიონში ტურიზმის კუთხით, მათ შორის არ არსებობს სტრუქტურული მარკეტინგული თანამშრომლობა.

მუხლი 24. ეკოგანათლება და საზოგადოების ინფორმირებულობა

1. საქართველოში გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებულობის დონე ზოგადად ძალიან დაბალია. სკოლების ეროვნულ კურიკულუმში არაა მოცული მღვიმეები და დაცული ტერიტორიები (გეოგრაფიის საგანში დაცული ტერიტორიები მცირედით არის მოხსენიებული). ზოგიერთ შემთხვევაში, დაცული ტერიტორიები ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებითაა გამოხატული სკოლის პროგრამის გარეთ, რომელიც ორგანიზებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ. დაცული ტერიტორიების შესახებ სწავლება შედის უმაღლესი განათლების პროგრამებში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და აგრარული უნივერსიტეტი).

2. საგანმანათლებლო კუთხით იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს უამრავი აქტივობის შეთავაზება შეუძლია და ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩაბმული რეგიონში გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში. დამყარებული აქვს კარგი ურთიერთთანამშრომლობა სკოლებთან და ინფორმაცია მორგებული აქვს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფზე.

3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა სტაბილურად მზარდია; თანამშრომლები ატარებენ ლექციებს, სამუშაო შეხვედრებს, ორგანიზებას უკეთებენ სამუშაო და გაცნობითი სახის შეხვედრებს მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან და აწყობენ სპეციფიკურ ეკოტურებს. დამატებით, „მწვანე კალენდრის“ მიხედვით, ხდება ღონისძიებების ორგანიზება და „დასუფთავების აქციების“ ჩატარება მოხალისეებთან ერთად. 2014 წელს ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლის ფარგლებში ანკეტებში დასმულ შეკითხვებს 10-მა მონაწილემ გასცა პასუხი (გაანალიზებული იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ).

4. დღესდღეობით არ ხდება მონაწილეთა არანაირი წახალისება. ბავშვებს განსაკუთრებით გაუხარდებოდათ მაგ: სერტიფიკატების, მცირე სუვენირების და ა.შ. მიღება, რაც გაზრდიდა მათ მოტივაციას და უფრო მეტად დააკავშირებდა დაცულ ტერიტორიებთან.

5. სტაბილურად მზარდი საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და მონაწილეების რაოდენობის გაზრდის გამო არსებობს ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავების აუცილებლობა; დღესდღეობით არ არსებობს შესაბამისად გადამზადებული კადრები საგანმანათლებლო საქმიანობების წარმართვის კუთხით - ღონისძიებებს ახორციელებს ბუნებრივი რესურსების თანამშრომელი.



მუხლი 25. კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები

1. მარკეტინგსა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს დაცული ტერიტორიების სააგენტო ახორციელებს (ახალი კორპორაციული სტილის შემუშავება ლოგოს ჩათვლით და ცნობადობის სხვა ასპექტები). ახალი ვებგვერდი ყველა დაცული ტერიტორიისათვის ბმულების ჩათვლით, ამჟამად დამუშავების პროცესშია. მედიასთან დაკავშირებულ სამუშაოებს შესაბამის დაცულ ტერიტორიებთან ერთად უშუალოდ დაცული ტერიტორიების სააგენტო ახორციელებს.
2. მომიჯნავე სოფლების მოსახლეობა ძალზე მგრძობიარეა დაცული ტერიტორიების მიმართ (რადგანაც მათ არ მოსწონთ დაწესებული შეზღუდვები). წარსულში მოსახლეობასთან კომუნიკაცია ძალზედ შეზღუდული იყო, მაგრამ ამჟამად შეხვედრები ეწყობა ყოველთვე და კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან უმჯობესდება. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები გაფანტულია დიდ ტერიტორიაზე, რაც კომუნიკაციას ართულებს. შემოსავლის ალტერნატიული წყაროების არარსებობის გამო შეიმჩნევა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დაცულ ტერიტორიებთან კომუნიკაციის გაზრდილი ინტერესი, მაგ.: შვეტიცხეები ტურისტული სტატისტიკის თაობაზე, საოჯახო სასტუმროების ქსელისა და სხვა მომსახურებების შეთავაზებისათვის ამ ინფორმაციის საფუძვლად გამოყენების მიზნით. არ არსებობს გამოცდილება, რომელიც ეკოტურიზმის სერვისებს შესთავაზებს და ასევე არსებობს ტრენინგის საჭიროება ამ კუთხით. ეს ღონისძიებები იძლევა დიდ პოტენციალს უკეთესი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის დამყარებისთვის (გამოცდილების გაზიარება, იდეების შეთავაზება, თანამშრომლობა მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით და ა.შ.).
3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა გზას იყენებს. ადმინისტრაციას არ აქვს თავისი ვებგვერდი, ინფორმაცია იგზავნება სააგენტოს ცენტრალურ ოფისში და პასუხისმგებელი პერსონალი ანთავსებს ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტოს განახლებულ ვებგვერდზე (<http://www.apa.gov.ge/ge/>). დამატებით, იმერეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ფართოდ ავრცელებს საინფორმაციო ბუკლეტებს ნებისმიერი ღონისძიების დროს (იხილეთ ასევე ტურიზმის სერვისების გრაფა).
4. მედიის გაზრდილი ინტერესი მღვიმეების მიმართ მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაფიქსირდა (youtube-სა და myvideo-ზე, ასევე რადიოში, ჟურნალებსა და ვებპორტალებზე უკვე შესაძლებელია მრავალრიცხოვანი ჩანაწერებისა და ინფორმაციის მოძიება). კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო სტრატეგიის არსებობა და სტრატეგიულად დაგეგმილი ღონისძიებების გატარება.
5. წარსულში იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს არ ჰქონდა დამყარებული კონტაქტები სხვა ქვეყნებთან და მხოლოდ ბოლო წლების განმავლობაში დაიწყო ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო პროექტებთან, მაგალითად, „ჩეხეთის განვითარების სააგენტოს“ პროექტი და დაცული ტერიტორიების „თვინინგის პროექტი“. ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის მიზნით თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები არსებობს სხვა უცხოურ დაწესებულებებთან, მაგ: ევროპის სხვადასხვა მღვიმის ადმინისტრაციასთან. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები - მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციის (International Show Caves Association - ISCA) წევრებს წარმოადგენენ.

მუხლი 26. ინფრასტრუქტურა

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის ოპტიმალურია; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ ხდება არსებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილის სრულად დარტყირთვა და გამოყენება.
2. კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ბუნების ძეგლებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ტურისტული ინფრასტრუქტურის (მიწის გარდა) კონცესიით გაცემა ეკოტურიზმისა და რეკრეაციული მიზნებისათვის. აღნიშნულის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის „დაცული ტერიტორიების უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №125 დადგენილება.
3. სათაფლიაში იჯარით იყო გადაცემული სასტუმრო, საკონფერენციო დარბაზი, მცირე ზომის 3D ფორმატის კინოდარბაზი, კაფეტერია და სუვენირების 2 მაღაზია. ამჟამად ინფრასტრუქტურა იჯარით გაცემული არ არის, გარდა ერთი სუვენირების მაღაზიისა პრომეთეს მღვიმის ვიზოტორთა ცენტრში, რომელიც იჯარით



გაიცა 2014 წლის 1 მაისიდან. დაცული ტერიტორიების სააგენტო ამჟამად აუქციონისთვის დოკუმენტებს ამზადებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება დაინტერესება, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მენეჯმენტი უზრუნველყოფს ობიექტების ფუნქციონირებას.

4. ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვანი საკითხია ინფრასტრუქტურის მართვა. შენობების მშენებლობიდან რამდენიმე წლის შემდეგ საჭირო გახდა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, რის გამოც ადმინისტრაცია აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო ხარჯების წინაშე დგას.

5. პრობლემები არსებობს შუშის კონსტრუქციებთან ფრინველების შეჯახების გამო და უნდა მოიძებნოს გამოსავალი ამასთან დაკავშირებით.

6. სათაფლიაში ადმინისტრაციის შენობის ადგილმდებარეობა არახელსაყრელია (ძალიან დაშორებულია ცენტრალური შესასვლელიდან) და ადმინისტრაცია ფიქრობს პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებზე. დამატებით, ცენტრალურ შესასვლელთან არსებული მოსაცდელი სივრცე არაკომფორტულია ტურისტებისთვის.

მუხლი 27. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ამჟამინდელი სტრუქტურა დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №12 ბრძანებით „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების თაობაზე“ (2013 წლის 10 მაისი).

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს დირექტორი და მას ორი სტრუქტურული განყოფილება გააჩნია: დაცვის განყოფილება და ადმინისტრაციული განყოფილება:

ა) **დაცვის განყოფილების** ძირითადი პასუხისმგებლობის სფეროს წარმოადგენს პატრულირებისა და მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება და ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება. ამ საქმიანობების გარდა, აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები ასევე ჩართულნი არიან ვიზიტორთა მომსახურებასა და საგანმანათლებლო საქმიანობებში. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ერთმანეთისგან შორ მანძილებზეა დაშორებული, ამის გამო პატრულირება რთულდება დაცვის განყოფილებისთვის;

ბ) **ადმინისტრაციული განყოფილება** პასუხისმგებელია დაგეგმვისა და ბიუჯეტის კოორდინირებაზე, შესყიდვების გეგმის მომზადებაზე, კადრების მართვაზე, ვიზიტორთა მართვაზე, კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებზე. გარდა ამისა, აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია მიმდინარე სამშენებლო საქმიანობებისა და მესამე მხარისათვის იჯარით გაცემული ინფრასტრუქტურის მონიტორინგზე.

3. რესურსების დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე, კადრების ამჟამინდელი შემადგენლობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმისათვის. საშტატო ერთეულის დამატებას საჭიროებს ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის. რაც შეეხება ტურისტულ ინფრასტრუქტურას/მოვლა-შენარჩუნებას, ტურისტულ მომსახურებასა და კომუნიკაციას/საზოგადოებასთან ურთიერთობას, აქ არსებობს დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროება. დეტალები შტატის შემადგენლობასა და საჭიროებებზე იხილეთ „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტურიზმის სტრატეგიაში“.

4. თანამშრომლების უმრავლესობას გააჩნია გამოცდილების გარკვეული დონე და აუცილებელი უნარ - ჩვევები. მიუხედავად ამისა, დასაქმებულთა ტრენინგი და რესურსების გაძლიერება უწყვეტი პროცესია. თანამშრომლებს წარსულში რამდენიმე ტრენინგი ჩაუტარდათ, მაგრამ არსებობს პროფესიონალური ტრენინგების ნაკლებობა. ასევე ტრენინგების ჩატარებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სეზონურობა. ტრენინგებისათვის ოპტიმალური თვეებია ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

5. ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურება დაბალია, რაც ხშირად ხდება იმის მიზეზი, თუ რატომ ვერ ხდება ვაკანტური თანამდებობების შესაბამისი კადრებით შევსება (ეს ქვეყნის ყველა დაცულ ტერიტორიაზე ვრცელდება). დღესდღეობით იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები ვიზიტორთა მომსახურებიდან შემოსული შემოსავლებიდან 35%-იან სახელფასო დანამატს იღებს. თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ინდიკატორები არაა განსაზღვრული, რაც ანაზღაურების სისტემას უფრო სამართლიანს გახდიდა, რაც, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას მოახდენდა თანამშრომლებზე და აამაღლებდა მათ მოტივაციას.



6. სატრანსპორტო აღჭურვილობის კუთხით ადმინისტრაცია სრულად არის უზრუნველყოფილი ყოველდღიური საქმიანობების განსახორციელებად; ადმინისტრაციას ჰყავს 5 ავტომანქანა, 1 ავტობუსი და 1 ავტომატარებელი ტურისტული სერვისისათვის. ქალაქებიდან (ქუთაისი, წყალტუბო) თანამშრომლების ტრანსპორტირება პრობლემურია, რადგანაც არ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

7. ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიმართ და ამზადებს ყოველკვარტალურ და წლიურ ანგარიშებს. ამას გარდა, ყოველწლიურად მზადდება ბუნების მატთანე . ყოველი წლის დასასრულს განისაზღვრება მომავალი წლის პრიორიტეტები/საქმიანობები და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარედგინება წლიური სამოქმედო გეგმა საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების მსგავსად ცენტრალიზებულად, თბილისში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ხდება. იმ სერვისებისა და პროდუქტების კუთხით, რომელთა მომარაგება შესაძლებელია ადგილობრივად, ცენტრალიზებული სისტემა არ არის მიზანშეწონილი და ადეკვატური, ამისათვის გათვალისწინებულია მასში ცვლილებების შეტანა. (დეცენტრალიზაციისთვის პირველ ეტაპზე ადმინისტრაციას უნდა მიეცეს ყოველწლიურად გარკვეული თანხა, რომელსაც განკარგავს უკიდურესად აუცილებელი საჭიროებებისათვის. ამ თანხების მონიტორინგის შედეგად შესაძლოა სამომავლოდ მოხდეს დაფინანსების ზრდა.

8. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, სათაფლიის და პრომეთეს მღვიმეებთან დადგმულია ნაგვის ურნები. დაცული ტერიტორიის შიგნით ნაგავი გროვდება ადმინისტრაციის მიერ და აგროვებენ სპეციალურ ნაგვის შესაგროვებელ ურნებში, ხოლო ნაგვის მოგროვებას ამ ყუთებიდან რეგულარულად ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია მოხალისეების მონაწილეობით რეგულარულად აწყობს დასუფთავების აქციებს, დანაგვიანება ისევ პრობლემად რჩება.

9. სხვა დაცულ ტერიტორიებთან არ არსებობს სათანადო თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობდა მათ შორის გამოცდილებების გაზიარებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

10. სხვა საკითხები, რომლებიც საყურადღებოა და გადაჭრას საჭიროებს, მოიცავს დაცულ ტერიტორიებზე ცუდ სატელეფონო/ინტერნეტკავშირსა და სათაფლიის წყალმომარაგების პრობლემებს.

11. დაცული ტერიტორიების მომიჯნავედ არსებული კირქვის საბადოების ფუნქციონირებით გამოწვეული ისეთი ზეგავლენა, როგორცაა, მაგ., ხმაური, ვიბრაცია, მტვერი, ზეგავლენას ახდენს დაცულ ტერიტორიებსა და გარემოზე. ამას ემატება ზეგავლენა კომპანიებისაგან, რომელთაც იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების სიახლოვეს ახალი საბადოს გახსნა სურთ.

12. ბუნების ძეგლების უმრავლესობა მღვიმეს წარმოადგენს, რომელთა ზედაპირის ფართობი არაა განსაზღვრული. ეს წარმოადგენს პრობლემას ადმინისტრაციისთვის, რადგან დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს ასეთი ტიპის ტერიტორიებზე. ამისთვის საჭიროა პროცედურისა და პოლიტიკის არსებობა, ვინაიდან ეფექტური ადმინისტრირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა საზღვრებია განსაზღვრული.

თავი V ზონირება

მუხლი 28. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მდებარეობა და საერთო ფართობი

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მდებარეობს იმერეთის რეგიონში – წყალტუბოს, თერჯოლის, ხონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მოიცავს „იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ და „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფართობს, საზღვრებსა და შემდეგი დასახელების კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს;

ა) სათაფლიის ნაკრძალი;

ბ) სათაფლიის აღკვეთილი;



- გ) პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი;
- დ) თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ე) ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ვ) ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი;
- ზ) ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- თ) ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ი) იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- კ) საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ლ) წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი;
- მ) ოკაცეს კანონის ბუნების ძეგლი;
- ნ) ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი;
- ო) გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი;
- პ) საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ჟ) სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი;
- რ) დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ს) მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ტ) ბლერის მღვიმის ბუნების ძეგლი;
- უ) ლლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი;
- ფ) მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი.

მუხლი 29. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მდებარეობა, დაშვებული საქმიანობა

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მდებარეობა განსაზღვრულია „იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში და ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ საქართველოს კანონში.
2. სათაფლიის ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
 - ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
 - ბ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა;
 - გ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელებისა;
 - დ) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;
 - ე) სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, სათაფლიის ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო-



მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელებისა;

ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;

თ) ნაკრძალის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა.

3. სათაფლიის აღკვეთილში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ბ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელებისა;

ბ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) საკადასტრო სამუშაოების საქმიანობისა;

ე) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით, ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ვ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებებისა;

ზ) ბილიკების მოწყობისა და არსებული ბილიკების მოვლისა;

თ) კეთილმოწყობილ მღვიმეში ვიზიტორთა ფეხით გადაადგილებისა გამყოლის (გიდი, ადმინისტრაციის თანამშრომელი) თანხლებით;

ი) დაცვისა და ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კეთილმოწყობისა;

კ) მცენარეთა ცალკეული ნაწილების შეგროვება საჭერბარიუმე და კვლევითი საქმიანობის განხორციელებლად.

4. შემდეგ ბუნების ძეგლებში – პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი, თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი, ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი, ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი, ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი, ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი, იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი, საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი, საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი, სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი, დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი, მელაურის მღვიმის ბუნების ძეგლი, ბდერის მღვიმის ბუნების ძეგლი, ლლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ბ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელებისა;

ბ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) საკადასტრო სამუშაოების საქმიანობისა;

ე) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით, ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ვ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებებისა;

ზ) ბილიკების მოწყობისა და არსებული ბილიკების მოვლისა;



თ) კეთილმოწყობილ მღვიმეში ვიზიტორთა ფეხით გადაადგილებისა გამყოლის (გიდი, ადმინისტრაციის თანამშრომელი) თანხლებით;

ი) დაცვისა და ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კეთილმოწყობისა.

5. წყალწითელას ხეობის, ოკაცეს კანიონის, ოკაცეს ჩანჩქერის, მუხურას ჩანჩქერის და გაბზარული ტბის ბუნების ძეგლებში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგისა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) საკადასტრო სამუშაოების საქმიანობისა;

ე) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ვ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებებისა;

ზ) ბილიკების მოწყობისა და არსებული ბილიკების მოვლისა;

თ) კეთილმოწყობილ ბილიკებზე ვიზიტორთა ფეხითა და ცხენით გადაადგილებისა, რთულ მონაკვეთებში გამყოლის (გიდი, ექსკურსიამდლოლი, ადმინისტრაციის თანამშრომელი) თანხლებით გადაადგილებისა;

ი) დაცვისა და ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კეთილმოწყობისა.

6. სათაფლიის აღკვეთილში დაშვებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება 27³ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №489 - ვებგვერდი, 03.11.2016წ.

თავი VI მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 30. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელების თაობაზე

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო (ცენტრალური აპარატი და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და საქმიანობების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, აგრეთვე მენეჯმენტის გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგსა და შედეგების მიღწევაზე.

2. სააგენტო უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე მათ თანამშრომლობას იმპლემენტაციის პროცესში.

3. მენეჯმენტის გეგმის იმპლემენტაცია სამოქმედო გეგმის მიხედვითაა ინდუცირებული. სამოქმედო გეგმა შემუშავდება სამი წლის ვადით და განახლდება ყოველწლიურად, რომელიც დეტალურად უნდა შეიცავდეს მენეჯმენტის გეგმის თითოეული წლისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს მათზე დაფუძნებული ბიუჯეტის ჩათვლით.



მუხლი 31. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა შვიდი განსხვავებული თემა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მენეჯმენტის მიზნების, საქმიანობებისა და ღონისძიებების პროგრამულ სტრუქტურას, როგორცაა:

- ა) ბუნებრივი რესურსების დაცვა;
- ბ) კვლევა და მონიტორინგი;
- გ) ტურიზმი;
- დ) ეკოგანათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- ე) კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ვ) ინფრასტრუქტურა;
- ზ) ადმინისტრაციის გაძლიერება.

2. შემდეგ მუხლებში აღწერილია თითოეული მენეჯმენტის პროგრამის მიზნები და შესაძლო ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს დეტალური წლიური დაგეგმვის ფარგლებში სამოქმედო გეგმის სახით.

მუხლი 32. მენეჯმენტის პროგრამა: ბუნებრივი რესურსების დაცვა

1. ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

- ა) პატრულირება: ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა როგორც პატრულირების რაოდენობა, ასევე დაფარული მანძილი; ასევე საჭიროა დამატებითი აღჭურვილობა და კონკრეტული ტრენინგების ორგანიზება;
- ბ) უკანონო ძოვება: მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერება მაღალია, ისევ არსებობს პრობლემები პირუტყვის გადაადგილებასთან დაკავშირებით კონკრეტულად სათაფლის აღკვეთილში;
- გ) ხანძრების კონტროლი: ტყის ხანძრების გაჩენის განსაკუთრებით მაღალი რისკი არსებობს ზაფხულის თვეებში, რადგან ძირითადი ინსტრუქციების მიუხედავად ბევრი ადამიანი იყენებს დაცული ტერიტორიის გარეთ არსებულ საპიკნიკე ადგილებს;

2. ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული პროგრამის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი, თუ არა)
პმ.1	ეფექტური პატრულირება განსაზღვრულ ადგილებში სათანადოდ მომზადებული პერსონალის ოპტიმალური რაოდენობითა და საჭირო	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი დოკუმენტირებული საპატრულო სტრატეგიის არსებობა • დაცვის განყოფილების თანამშრომლებს გავლილი აქვთ სათანადო ტრენინგები სხვადასხვა უნარ-ჩვევებში, რაც მათ სამუშაო აღწერილობას შეესაბამება



	აღჭურვილობით	(ასევე იხილეთ ტრენინგების საჭიროების ანალიზი VII მენეჯმენტის პროგრამის ნაწილში „ადმინისტრაციის გაძლიერება“)
პმ.2	ადგილობრივი მოსახლეობის პირუტყვი არ აზიანებს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს	<ul style="list-style-type: none"> სამართალდარღვევები არ არის უკანონო მოვებასთან და პირუტყვის გადაადგილებასთან დაკავშირებით დაცული ტერიტორიის შიგნით; იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის პერსონალის დაკვირვებამ არ გამოავლინა რაიმე სახის პირუტყვის მიერ გამოწვეული დაზიანება.
პმ.3	ხანძრების გაჩენის რისკები შემცირებულია მინიმალურ რაოდენობამდე.	<ul style="list-style-type: none"> ხანძრების რისკის შემცირების გეგმის არსებობა კოორდინაციის მექანიზმები მუნიციპალიტეტებთან, ადგილობრივ სათანადო ხელმისაწვდომი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები ¹ (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.1	ეფექტური პატრულირება განსაზღვრულ ადგილებში სათანადოდ მომზადებული	<ul style="list-style-type: none"> შემუშავდეს სათანადო პატრულირების სტრატეგია და საპატრულო პერსონალის სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფა, მაგ: სამედიცინო ყუთები, ცეცხლსასროლი იარაღები, ა.შ. და მოხდეს საჭირო მოწყობილობების შესყიდვა და შენახვა. პერსონალის ვაკანტური პოზიციების შევსება და დამატებითი კადრების აყვანა გამოცდილების გაზიარება სხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაცულ ტერიტორიებთან <p>კომუნიკაციისა და დაცვის სისტემის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების</p>



	<p>პერსონალის ოპტიმალური რაოდენობითა და საჭირო აღჭურვილობით</p>	<p>გამოყენებით.</p> <ul style="list-style-type: none"> რეგულარული ტრენინგების განხორციელება დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის; თემები შეიძლება შეიცავდეს: კანონალსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო, GPS-ის გამოყენება, ოქმების ზუსტად შევსება, ხანძარსაწინააღმდეგო აჭურვილობისა და ცეცხლსასროლი იარაღის სწორად გამოყენება, ტრენინგი, პირველადი დახმარება, ზოგადი ცოდნა ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების დაცვის სფეროებში (ფრინველთა იდენტიფიკაცია, ცხოველთა ნაკვალევი, ა.შ.)
<p>პმ.2</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის პირუტყვი არ აზიანებს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს</p>	<ul style="list-style-type: none"> მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირუტყვის მფლობელებთან და მუნიციპალიტეტთან შეხვედრების ორგანიზება შემდეგი მიზნებისთვის: 1) თანამშრომლობის გზების მოძებნა, 2) პირუტყვის რაოდენობის იდენტიფიცირება, 3) განისაზღვროს ტერიტორიები ძოვებისთვის დაცული ტერიტორიების გარეთ, 4) კრიტიკული წერტილების განსაზღვრა და შეღობვის შესაძლებლობები (ელექტრონული ღობეები), 5) განისაზღვროს ადგილები პირუტყვის დასარწყულებლად
<p>პმ.3</p>	<p>ხანძრების გაჩენის რისკები შემცირებულია მინიმალურ რაოდენობამდე.</p>	<ul style="list-style-type: none"> ხანძრების რისკის შემცირების გეგმის შემუშავება გაზრდილი პატრულირების რიცხვის ჩათვლით ზაფხულის მაღალი რისკის პერიოდების განმავლობაში და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ხანძრებთან ბრძოლის კუთხით; იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მომარაგება შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით; საზოგადოებრივი



მუხლი 33. მენეჯმენტის პროგრამა: კვლევა და მონიტორინგი

1. კვლევასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) მოძველებული კვლევის მასალები: მონაცემები, რომლებიც შემორჩენილია წინა წლებიდან, მოძველებულია და არ არის ადმინისტრაციაში;

ბ) სახეობებისა და ჰაბიტატების ინვენტარიზაცია: სათაფლიაზე არსებული ჰაბიტატებისა და სახეობების ინვენტარიზაციის შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილია. შესაბამისად, ჰაბიტატებისა და სახეობების ცოდნის, მათი გავრცელების, კონსერვაციული სტატუსის, ენდემიზმის შესახებ და ა.შ., რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაზისო მონიტორინგისთვის, გასაახლებელია. რაც შეეხება იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების სხვა ბუნების ძეგლებს, მათზე ინფორმაცია ძალზედ მწირია.

გ) მონიტორინგის საკითხები: არ არსებობს სახელმძღვანელო წესები, მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზა ტურიზმთან დაკავშირებით. არ არსებობს სანდო მონაცემები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ტურიზმი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მღვიმეების მიკროკლიმატზე, ასევე საკვანძო ჰაბიტატებსა და სახეობებზე და საფრთხეს უქმნის კოლხურ ბზის სანიტარიულ მდგომარეობას;

დ) კონსერვაციის პროგრამები: გარკვეულ საკვანძო სახეობებზე უარყოფითი ტენდენციების გამო, მაგალითად, როგორცაა: დამურები, ბზები, არსებობს სპეციფიკური საკონსერვაციო სტრატეგიისა და ზომების მიღების საჭიროება;

2. კვლევასთან და მონიტორინგთან დაკავშირებულია შემდეგი პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი თუ არა)
პმ.4	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ყველა ობიექტის ბიომრავალფეროვნების შესახებ საკმარისი ინფორმაციის არსებობა, რათა დამყარდეს მონიტორინგის საბაზისო დონე და შემუშავდეს ძირითადი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის სტრატეგიები.	<ul style="list-style-type: none"> საკვანძო ჰაბიტატები და სახეობები განსაზღვრულია ინფორმაცია საკვანძო ჰაბიტატების, სახეობებისა და მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზა ფუნქციონირებს, ეფექტურად გამოიყენება და შენარჩუნებულია
პმ.5	მღვიმეების მიკროკლიმატის მონიტორინგის სისტემა არსებობს	<ul style="list-style-type: none"> დოკუმენტის სახით შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი მონიტორინგის სისტემა
პმ.6	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა არსებობს	<ul style="list-style-type: none"> ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შესაბამისად შემუშავებული სისტემა ხორციელდება
პმ.7	კონსერვაციის სტრატეგიების შემუშავება შერჩეული ჰაბიტატებისა	<ul style="list-style-type: none"> შესაბამისი კონსერვაციის



	და სახეობებისთვის	სტრატეგიების არსებობა
პმ.8	მონიტორინგის განსახორციელებლად ადეკვატურად აღჭურვილი და გადამზადებული თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობა.	<ul style="list-style-type: none"> სპეციალურად გადამზადებული კვალიფიცირებული თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ სათანადო აღჭურვილობას.

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა კვლევასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.4	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ყველა ობიექტის ბიომრავალფეროვნების შესახებ საკმარისი ინფორმაციის არსებობა, რათა დამყარდეს მონიტორინგის საბაზისო დონე და შემუშავდეს ძირითადი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის სტრატეგიები.	<ul style="list-style-type: none"> გამოვლინდეს ჰაბიტატები და საკვანძო სახეობები, ასევე უნიკალური ბოტანიკური კორომები და გამოინახოს მეცნიერ-სპეციალისტებთან თანამშრომლობის გზები, რათა განხორციელდეს შერჩეული მახასიათებლების შესწავლა, მათ შორის ინფორმაცია სახეობების გავრცელების, კონსერვაციული სტატუსის, ენდემიზმისა და ა.შ. შესახებ; 1) სათაფლიის შესახებ ინფორმაციის განახლება და 2) ახალი ინვენტარიზაცია ყველა სხვა დაცული ტერიტორიისთვის, რომელსაც მართავს ადმინისტრაცია
პმ.5	მღვიმეების მიკროკლიმატის მონიტორინგის სისტემა არსებობს	<ul style="list-style-type: none"> მღვიმის მონიტორინგის სისტემის დაინსტალირება ჩეხური და ავსტრიული პროექტების შედეგების გათვალისწინებით
პმ.6	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა არსებობს	<ul style="list-style-type: none"> უნდა შემუშავდეს მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოგვაწვდის ჰაბიტატებისა და საკვანძო სახეობების მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, ამასთანავე გამოავლენს საფრთხეებს საკვანძო მახასიათებლებისათვის; გაკეთდეს სპეციალური აქცენტი კოლხურ ტყეში არსებული სხვადასხვა სახეობის დაავადების მონიტორინგზე
		<ul style="list-style-type: none"> შემუშავდეს საკონსერვაციო



პმ.7	კონსერვაციის სტრატეგიების შემუშავება შერჩეული ჰაბიტატებისა და სახეობებისთვის	<p>სტრატეგიები და გეგმები შერჩეული ჰაბიტატებისა და საკვანძო სახეობებისათვის, მაგ., როგორცაა: დამურები, ბზები და სხვა;</p> <ul style="list-style-type: none"> · გატარდეს ამ საფრთხეების მართვის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.
პმ.8	მონიტორინგის განსახორციელებლად ადეკვატურად აღჭურვილი და გადამზადებული თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობა.	<ul style="list-style-type: none"> · შეივსოს ვაკანტური პოზიციები და დაემატოს შტატი, საჭიროებისამებრ; · აუცილებელი მონიტორინგის მოწყობილობების შექმნა · ჩატარდეს ტრენინგები საკვანძო სახეობების მონიტორინგისთვის; · ჩატარდეს სხვა სახის ტრენინგები, რომელიც დაეფუძნება ტრენინგების საჭიროებათა შეფასებას (იხ. ადმინისტრაციის შესახებ თავი) · გამოცდილებების გაცვლა სხვა დაცულ ტერიტორიებთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

მუხლი 34. მენეჯმენტის პროგრამა: ტურიზმი

1. ტურიზმთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) ტურიზმი, მისი ზეგავლენა და ტურისტული სერვისების გაფართოება: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები დიდი რაოდენობის ვიზიტორებს მასპინძლობს, რაც ზეგავლენას ახდენს იმ სერვისების მცირე რაოდენობაზე, რასაც დაცული ტერიტორია სთავაზობს დამთვალიერებელს და ვიზიტორთა სერვისების პერსონალზე. ამავე დროს არსებობს ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოუყენებელია და აქვს პოტენციალი, რომ განვითარდეს დამატებითი პროდუქტები;

ბ) სარგებელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის: ამჟამად, ადგილობრივი მოსახლეობა არ იყენებს ათასობით ტურისტის ვიზიტის პოტენციალს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ეკონომიკური და საარსებო შესაძლებლობების თვალსაზრისით;

გ) მეფუტკრეობა: უძველესი დროიდან სათაფლიის მთისა და პრომეთეს მღვიმის შემოგარენი ცნობილი იყო მეფუტკრეობის ტრადიციებით. ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე, რომელიც მოსაზღვრე სოფლებში ცხოვრობს, ჩართულნი არიან მეფუტკრეობაში და ეს ტრადიცია უნდა გაძლიერდეს, რადგან ფუტკრების როლი ბუნებაში მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კოლხური ტყის ეკოსისტემაში;

დ) თანამშრომლობა: თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის გაძლიერების შესაძლებლობები არსებობს სხვა ეროვნულ, რეგიონალურ და ძირითად ადგილობრივ ფაქტორებთან, მაგალითად, საქართველოში არსებული სხვა ტურისტული დაცული ტერიტორიები, ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, ეპარქია და სხვა; გარდა ამისა, ჯანდაცვის სექტორიდან არსებობს სპელეოთერაპიის დანერგვის მაღალი ინტერესი, მაგრამ კონკრეტული მღვიმეების ვარგისიანობასა და პოტენციალზე ინფორმაცია ზოგადია, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს; გათვალისწინებული უნდა იყოს თანამშრომლობის დამყარება წყალტუბოს ჯანდაცვის ინსტიტუტთან.



2. ტურიზმთან დაკავშირებულია შემდეგი პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი თუ არა)
პმ.9	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ვიზიტორებს სთავაზობს პროდუქტებისა და სერვისების უფრო მეტ მრავალფეროვნებას და მასპინძლობს უფრო მეტ ვიზიტორს, რომლებიც კმაყოფილნი არიან სასიამოვნო თავგადასავლებით.	<ul style="list-style-type: none"> პროდუქტებისა და სერვისების მრავალფეროვნება მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდის განმავლობაში; ვიზიტორთა რაოდენობა სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებზე და დაცული ტერიტორიების სხვადასხვა სერვისის გამოყენება; მონიტორინგის შედეგები არ მიანიშნებს ტურიზმის შედეგად რაიმე სახის დაზიანება მიადგა თუ არა დაცული ტერიტორიის ღირებულებებს; სერვისებიდან გამომდინარე, ვიზიტორთა კმაყოფილების დონე
პმ.10	ადგილობრივი მოსახლეობა სარგებელს იღებს ტურიზმის სფეროდან სხვადასხვა სერვისის შეთავაზებით.	<ul style="list-style-type: none"> დაცული ტერიტორიის ირგვლივ მცხოვრები ადამიანების რაოდენობა იზრდება, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ სხვადასხვა სერვისს.
პმ.11	მეფუტკრეობა თავიდან დაინერგა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის შემოგარენში და დაცული ტერიტორიის ტურისტული მომსახურების ნაწილს წარმოადგენს.	<ul style="list-style-type: none"> ფუტკრის სკების და თაფლის წარმოება ადგილობრივი ეკონომიკისა და ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია. მეფუტკრეობა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტურისტული პაკეტის ნაწილია.
პმ.12	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და რეგიონის სხვა მნიშვნელოვან ტურისტულ ტურ-ოპერატორებს შორის თანამშრომლობა გაუმჯობესებულია.	<ul style="list-style-type: none"> რეგიონის მასშტაბით სხვა ტურისტულ ტურ-ოპერატორებთან შეხვედრების რაოდენობა და შეხვედრების კონკრეტული შედეგები.

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ტურიზმთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:



მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.9	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ვიზიტორებს სთავაზობს პროდუქტებისა და სერვისების უფრო მეტ მრავალფეროვნებას და მასპინძლობს უფრო მეტ ვიზიტორს, რომლებიც კმაყოფილნი არიან სასიამოვნო თავგადასავლებით .	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარებისთვის, რომელიც გამოავლენს კონკრეტულ პროდუქტებსა და სერვისებს ინვესტირებისთვის, მაგალითად: სპელეო-თერაპია საწურბლიას მღვიმეში და საჭირო ადამიანური და სხვა რესურსი.
პმ.10	ადგილობრივი მოსახლეობა სარგებელს იღებს ტურიზმის სფეროდან სხვადასხვა სერვისის შეთავაზებით.	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება (სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით შესაძლო სერვისებისთვის იდეების შეგროვება, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ადგილობრივი პროდუქტები, სარესტორნო მომსახურება, თაფლის წარმოების ტურების ორგანიზება, სუვენირები და ა.შ. და სხვა დაცული ტერიტორიებიდან წარმომადგენლების დაპატიჟება ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით • ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოეწეოს გაცვლითი ვიზიტები სხვა დაცულ ტერიტორიებზე • მხარდაჭერის მოძიება სოფლის ადმინისტრაციებისგან, მუნიციპალიტეტებისგან, მეფუტკრეთა ასოციაციისგან და სხვა
პმ.11	მეფუტკრეობა თავიდან დაინერგა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიის შემოგარენში და დაცული ტერიტორიის ტურისტული	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობა (თაფლის წარმოებისთვის კვლევა მცენარეების სახეობებზე, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი, მარკეტინგის/ბრენდინგის შესაძლებლობები, დაცული ტერიტორიის სუვენირების მაღაზიებში პროდუქტების გაყიდვა), შემუშავდეს პროექტის კონცეფცია მეფუტკრეობისთვის და ხელი შეეწყოს ფუტკრის სკების



	<p>მომსახურების ნაწილს წარმოადგენს.</p>	<p>პოპულარიზაციას იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების გარშემო;</p> <ul style="list-style-type: none"> · გარეულ ფუტკრებზე მონიტორინგის ჩატარება იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე · ფუტკრებთან და თაფლის წარმოებასთან დაკავშირებული სპეციალური ტურისტული პაკეტის დიზაინის შემუშავება.
<p>პმ.12</p>	<p>იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და რეგიონის სხვა მნიშვნელოვან ტურისტულ ტუროპერატორებს შორის თანამშრომლობა გაუმჯობესებულია.</p>	<ul style="list-style-type: none"> · გამოცდილებების ურთიერთგაცვლა/გაზიარება საქართველოს სხვა ტურისტულ ტერიტორიებთან (მაგ: ტურისტული პროდუქტების საუკეთესოდ გაყიდვის თემასთან დაკავშირებით სპეციალისტების მოწვევა; შესაძლებლობების განხილვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში პატარა მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებით, სადაც ტურისტებისთვის გაიყიდება ადგილობრივი პროდუქტები (ჩირი, ხილი, მურაბა, თაფლი და ა.შ.) · მოეწეოს შეხვედრები დაინტერესებულ ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტებთან

მუხლი 35. მენეჯმენტის პროგრამა: ეკოგანათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

1. ეკოგანათლებასთან და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) გარემოს დაცვითი ცნობიერების დაბალი დონე ზოგადი პრობლემაა საქართველოში; სკოლების ეროვნული კურიკულუმის პროგრამაში დაცული ტერიტორიები და მღვიმეები დაბალ კლასებში ზოგადადაა წარმოდგენილი გეოგრაფიის საგანში;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების თანამშრომლობა სკოლებთან: მიმდებარე სოფლების სკოლებთან ადმინისტრაციის კარგი თანამშრომლობა განიხილება როგორც ეკოსაგანმანათლებლო პროგრამის გაფართოებისა და დივერსიფიცირების შესაძლებლობა;

გ) ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების ზრდა: ღონისძიებები და მონაწილეთა რიცხვი სტაბილურად იზრდება, მაგრამ ეს არ აისახება ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდაზე.;

დ) ზოგიერთი სამიზნე ჯგუფი არაა მოტივირებული იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ წახალისების ფორმები თუ იქნება გათვალისწინებული, შესაძლებელია ამის გაკეთება.

2. ეკოგანათლებასთან და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებულია შემდეგი პროგრამის მიზნები:

პროგრამის	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს)
-----------	---------------------------------



მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი, თუ არა)
პმ.13	ადგილობრივ მოსახლეობის და მათ შორის სკოლის ბავშვების ცნობიერების დონის ამაღლება იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ღირებულებების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და დაცული ტერიტორიების როლის შესახებ	<ul style="list-style-type: none"> · მოსწავლეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობასა და ღირებულებაზე, ასევე გარემოს დაცვაზე
პმ.14	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა ჰყავს, რომელთაც გააჩნია აუცილებელი უნარ-ჩვევები ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების ფართო სპექტრის განსახორციელებლად.	<ul style="list-style-type: none"> · სპეციალიზებული, კარგად მომზადებული პერსონალი ადგილზე · მრავალფეროვანი ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა · მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობებში
პმ.15	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ზოგიერთი სამიზნე ჯგუფისათვის ითვალისწინებს წახალისებების ფორმებს, რითაც მათი ჩართულობის დონე იზრდება	<ul style="list-style-type: none"> · თანამშრომლობის შეთანხმებები კერძო სექტორის კომპანიებთან

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ეკოსაგანმანათლებლასთან და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
	ადგილობრივ მოსახლეობის და მათ შორის სკოლის ბავშვების ცნობიერების დონის ამაღლება იმერეთის მღვიმეების დაცული	<ul style="list-style-type: none"> · შემუშავდეს და განხორციელდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სტრატეგია · ნარჩენების მართვის საკითხი გათვალისწინებული იყოს ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობებში · უფრო მეტი საინფორმაციო დაფების განთავსება შერჩეულ ადგილებში და მოიძიოს საინფორმაციო დაფები



პმ.13	ტერიტორიების ღირებულებების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და დაცული ტერიტორიების როლის შესახებ	<p>განთავსების შესაძლებლობები მუნიციპალიტეტებში</p> <ul style="list-style-type: none"> · სკოლებთან დაკავშირებით სპიკერის ჩართვა ადმინისტრაციის „მრავალჯერად-დაინტერესებულ მხარედ“ ან „საკონსულტაციო საბჭოში“ – იხილეთ ასევე „ადმინისტრაციის გაძლიერება“ · საჭირო ზომების მიღება და დაცული ტერიტორიებისა და მღვიმეების საკითხების შეტანის ლობირება სკოლების კურიკულუმში
პმ.14	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა ჰყავს, რომელთაც გააჩნია აუცილებელი უნარ-ჩვევები ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ფართო სპექტრის განსახორციელებლად.	<ul style="list-style-type: none"> · აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დამატების საკითხის განხილვა · სპეციალისტების მიერ დაკომპლექტებული ჯგუფების შექმნა გარკვეულ საგანმანათლებლო თემებთან დაკავშირებით, რომლებიც აქცენტს გააკეთებენ ხარისხსა და მონაწილეობითი მეთოდების გამოყენებაზე მათ შორის სპეციალიზებული პროგრამების შექმნაზე შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვის · შეიქმნას სტაჟირებისა და მოხალისეობის მექანიზმი
პმ.15	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ზოგიერთი სამიზნე ჯგუფისათვის ითვალისწინებს წახალისებების ფორმებს, რითაც მათი ჩართულობის დონე იზრდება	<ul style="list-style-type: none"> · კერძო სექტორის კომპანიებთან პარტნიორობის დამყარება (მაგ: შერჩეული კომპანიების მოწვევა, რათა ჩაატარონ გარემოს დაცვის დღე მათი თანამშრომლებისთვის ან ერთობლივი წამახალისებელი ღონისძიებები)

მუხლი 36. მენეჯმენტის პროგრამა: კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან: ეს სენსიტიური საკითხია, რადგან შეზღუდვების თემა ნეგატიურად აღიქმება მოსახლეობის მიერ. რეგულარული კომუნიკაცია და კარგი ურთიერთობები წარმატებული თანამშრომლობის ბაზისია და არსებობს საჭიროება მიმდებარე მოსახლეობის უკეთესად ჩართულობის მექანიზმების შექმნისა;



ბ) კომუნიკაციის საშუალებები: თანამედროვე ტექნოლოგიები (ვებგვერდი, სოციალური მედია, ა.შ.) უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, კერძოდ, იმ ფონზე, როდესაც იზრდება ტურიზმის და მედიის მოთხოვნები;

გ) კომუნიკაციის სტრატეგია: ღონისძიებები კომუნიკაციის კუთხით არ არის სტრატეგიულად დაგეგმილი; კომუნიკაციის სტრატეგია დაეხმარება იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას კომუნიკაციასთან და საზოგადოებასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიების სტრატეგიულად დაგეგმვასა და გაძღვლაში;

დ) თანამშრომლობა და პარტნიორობა: ამჟამად არ არსებობს თანამშრომლობა და გამოცდილების გაცვლა საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებთან და მხოლოდ ცოტა ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

2. კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებულია შემდეგი ძირითადი მიზნები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი თუ არა)
პმ.16	მიმდებარე ტერიტორიების ადგილობრივ მოსახლეობასთან გაუმჯობესებული ურთიერთობა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	<ul style="list-style-type: none"> შერჩეული ადამიანები არიან „საკონსულტაციო საბჭოს“ წევრები რეგულარული ერთობლივი ღონისძიებები
პმ.17	გაუმჯობესებული კომუნიკაციის შესაძლებლობები გამოცდილების გაცვლის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და ინოვაციური საშუალებების გზით	<ul style="list-style-type: none"> ყველა ღონისძიება ხორციელდება კომუნიკაციის სტრატეგიისა და თანმხლები სამოქმედო გეგმის შესაბამისად სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით მიწოდებული ინფორმაციით ვიზიტორთა კმაყოფილების დონე
პმ.18	სპეციალურად გადამზადებული პერსონალის მიერ ხორციელდება კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებები	<ul style="list-style-type: none"> კომუნიკაციის სპეციალისტი პასუხისმგებელია კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებაზე, რომლებიც შეთანხმებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
		<ul style="list-style-type: none"> საკონსულტაციო



<p>პმ.16</p>	<p>მიმდებარე ტერიტორიების ადგილობრივ მოსახლეობასთან გაუმჯობესებული ურთიერთობა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა</p>	<p>მექანიზმის შემუშავება, რათა დამყარდეს რეგულარული კომუნიკაცია და კონსულტაცია მიმდებარე სოფლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან</p> <ul style="list-style-type: none"> · უნდა მოიძებნოს შესაძლებლობები ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისთვის · ერთობლივი ღონისძიებების იმპლემენტაცია, მაგ: პრესკონფერენციის გამართვა კონკრეტულ გარემოსდაცით დღეებთან დაკავშირებით
--------------	--	---

<p>პმ.17</p>	<p>გაუმჯობესებული კომუნიკაციის შესაძლებლობები გამოცდილების გაცვლის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და ინოვაციური საშუალებების გზით</p>	<ul style="list-style-type: none"> · კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება და იმპლემენტაცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> - დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზის მომზადება და კონტაქტების დამყარება (ტურისტული კომპანიები, პრესა, მედია, ბიზნესსექტორი და ა.შ.) - სააგენტოს ვებ-გვერდის განახლების რეგულარული უზრუნველყოფა - დავრწმუნდეთ, რომ ხელმისაწვდომია საკმარისი მაღალი ხარისხის საინფორმაციო მასალები (იხილეთ ასევე ჩეხი ექსპერტების რეკომენდაციები) - ინფორმაცია მორგებულია კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე (შესაძლებელია სპეციალურად ბავშვებისათვის შექმნილი ნაწილი) - საინფორმაციო მასალების მომზადება (საინფორმაციო ბიულეტენი, ფილმი, სარეკლამო განცხადებები, სტიკერები, სამკერდე ნიშნები და ა.შ.)
--------------	---	---



		<p>- ჟურნალისტების მოწვევა სპეციალურად ექსკურსიებზე</p> <p>· საქართველოში არსებულ სხვა დაცულ ტერიტორიებთან გამოცდილების გაზიარების ინსტიტუციონალიზაცია და საერთაშორისო პროექტებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიება</p>
პმ.18	სპეციალურად გადამზადებული პერსონალის მიერ ხორციელდება კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებები	<p>· სპეციალიზებული პერსონალის მიზიდვა კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ვებ-გვერდის ადმინისტრირების კუთხით</p> <p>· ტრენინგების ჩატარება კომუნიკაციისა და მედიის სფეროებში</p>

მუხლი 37. მენეჯმენტის პროგრამა: ინფრასტრუქტურა

1. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენება: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა გააჩნია ადგილზე, მაგრამ მისი დიდი ნაწილი არ გამოიყება, ნაწილობრივ ტურისტების მოთხოვნის საჭიროებებზე არ არის ადაპტირებული (მაგ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესვლა);

ბ) ინფრასტრუქტურის მოვლა/შენარჩუნება: ადმინისტრაციის მთავარ პრობლემებს წარმოადგენს მნიშვნელოვანი სარემონტო ხარჯები და ობიექტების სიმრავლე, რომელიც დატვირთული არ არის ეკოტურისტული სერვისებით. გარდა ამისა, არ არსებობს სპეციალიზებული პერსონალი ინფრასტრუქტურის მოვლა-შენარჩუნების მიზნით;

გ) ინფრასტრუქტურის იჯარით გაცემა: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა შეიძლება გაიცეს იჯარის წესით; საიჯარო ხელშეკრულებით გაცემულმა ქონებამ უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდება ტურისტებისთვის მათი საჭიროებებიდან განომდინარე და ხელი უნდა შეუწყოს ადმინისტრაციის შემოსავალს, როგორც დამხმარე საშუალებამ;

დ) წყლით უზრუნველყოფა: სათაფლიაში პრობლემებია წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით.

2. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულია შემდეგი პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი, თუ არა)
		· ვიზიტორთა ცენტრები



პმ.19	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის ოპტიმალური გამოყენება	სრულყოფილადაა აღჭურვილი და ფუნქციონირებს დანიშნულებისამებრ; · ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია საჭიროებების მიხედვით და მორგებულია მის მიზნე ჯგუფებზე
პმ.20	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა ეფექტურადაა შენარჩუნებული	· რეგულარული მონიტორინგის საფუძველზე, ინფრასტრუქტურის შენარჩუნება ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე
პმ.21	საიჯარო ხელშეკრულებებით გაცემული ინფრასტრუქტურა კარგად იმართება და წვლილი შეაქვს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფინანსურ შემოსავალში	· საიჯარო ხელშეკრულებიდან მიღებული ადმინისტრაციის წმინდა შემოსავალი გაზრდილია
პმ.22	იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა მოიჯარე გარკვეული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, ეს ქონება იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ უნდა მართოს და მანვე უნდა შესთავაზოს ვიზიტორებს სერვისები	· ობიექტები სრულადაა გამოყენებული და ხელს უწყობს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფინანსურ შემოსავლის ზრდასა და სერვისების მრავალფეროვნებას

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.19	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის ოპტიმალური გამოყენება	· არსებული ინფრასტრუქტურისთვის კონცეფციების შემუშავება და განხორციელება, რათა მოხდეს მათი ოპტიმალურად გამოყენება · ინფრასტრუქტურის ადაპტირება საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, როგორც უფრო მიზანშეწონილი და პრაქტიკულია
		· კვალიფიციური კადრის დაქირავება · ინფრასტრუქტურის



პმ.20	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა ეფექტურადაა შენარჩუნებული	სპეციალისტი პასუხისმგებელია მოვლა-შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე · შემუშავდეს ინფრასტრუქტურის მოვლა-შენარჩუნებასთან დაკავშირებულ გეგმა, რომელიც რეგულარულად შეფასდება და ობიექტებს გაეწევა მონიტორინგი (ფრინველები, რომლებიც მინას ეჯახებიან, ვიზიტორების მიერ მიყენებული ზიანი, კლიმატის მიერ და ა.შ.)
პმ.21	საიჯარო ხელშეკრულებებით გაცემული ინფრასტრუქტურა კარგად იმართება და წვლილი შეაქვს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფინანსურ შემოსავალში	· იჯარით გასაცემი ობიექტებისა და ინვენტარის განსაზღვრა, შეფასება, საიჯაროდ გატანა აუქციონზე და ხელშეკრულებების გაფორმება
პმ.22	იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა მოიჯარე გარკვეული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, მათ იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მართავს	· კონცეფციის მომზადება გარკვეული ობიექტების ოპტიმალურ გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით, ასევე ახალი შემოსავლის წყაროების ძებნა (იხ. ტურიზმის სტრატეგია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის).

მუხლი 38. მენეჯმენტის პროგრამა: ადმინისტრაციის გაძლიერება

1. ადმინისტრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია:

ა) საკადრო საკითხები: ამჟამად არსებობს ვაკანტური თანამდებობები, რომლებიც შევსებას საჭიროებს; დამატებით, გარკვეული უნარ-ჩვევებია საჭირო იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ, რაც ამჟამად არ არსებობს ადგილზე და უნდა დაემატოს დამატებითი თანამშრომლების რეკრუტირების გზით;

ბ) ადამიანური რესურსების მართვა: გასაუმჯობესებელია – მაგ, სამუშაო აღწერილობები ყველა თანამშრომლისთვის, მიმზიდველი და გამჭვირვალე სახელფასო სისტემა და ა.შ., ასევე საჭიროა უწყვეტი ტრენინგების ჩატარება;

გ) აღჭურვილობა: რადგანაც ადმინისტრაცია სრულად არის აღჭურვილი მათი ყოველდღიური ფუნქციების შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, პრობლემები არსებობს პერსონალის ტრანსპორტირებასთან და უნიფორმებთან დაკავშირებით;

დ) თანამშრომლობის საკითხები: არსებობს საჭიროება მიმდებარე ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმის შექმნის თაობაზე; უნდა დაიწყოს თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სხვა დაცულ ტერიტორიებთან, ასევე პარტნიორობის დამყარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება ეროვნულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან;

ე) ნარჩენების მართვა: მიუხედავად იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების უამრავი ღონისძიებისა, ნარჩენების პრობლემა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება;

ვ) ტელეფონი და ინტერნეტი: იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ინტერნეტში წვდომა უკიდურესად შეზღუდულია ან თითქმის შეუძლებელიც;



ზ) განსაზღვრული ადგილები/საზღვრები: რამდენიმე ბუნების ძეგლს (მღვიმეებს) არ გააჩნია ზედაპირზე განსაზღვრული ტერიტორიული საზღვრები, სადაც სააგენტოს არ აქვს მოქმედების ძალაუფლება.

2. ადმინისტრაციის გამლიერებასთან დაკავშირებულია შემდეგი პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეულ იქნა მიზანი თუ არა)
პმ.23	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია სათანადო ცოდნით და უნარებით აღჭურვილი თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> · ადმინისტრაციის პერსონალის რიცხვი და კვალიფიკაცია არსებული საჭიროებების შესაბამისია · თანამშრომლები პროფესიონალურად ასრულებენ დაკისრებულ დავალებებს
პმ.24	ადამიანური რესურსების მართვა პროფესიონალურ დონეზეა აყვანილი და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის განუყოფელი ნაწილია	<ul style="list-style-type: none"> · ადამიანური რესურსების მართვა პროფესიონალურ სტანდარტებს შეესაბამება
პმ.25	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფისთვის საჭირო აღჭურვილობა	<ul style="list-style-type: none"> · შექმნილია აუცილებელი აღჭურვილობა ადგილზე ეფექტური ფუნქციონირებისთვის
პმ.26	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებიც სათანადოდ არიან ჩართულნი დაცული ტერიტორიების საქმიანობებში, მათ ასევე აქვთ დამყარებული პარტნიორობა სხვა დაცულ ტერიტორიებთან და ინსტიტუტებთან/კომპანიებთან.	<ul style="list-style-type: none"> · „საკონსულტაციო საბჭო“ ოფიციალურად არის ჩამოყალიბებული <p>თანამშრომლობისა და ურთიერგაგების მემორანდუმები გაფორმებულია</p>
პმ.27	ობიექტების მართვა გაუმჯობესებულია (ნარჩენები/წყალი/ტელეფონი და ინტერნეტთან წვდომა)	<ul style="list-style-type: none"> · გაუმჯობესებული ნარჩენების მართვა · სათაფლიას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი · გაუმჯობესებულია კომუნიკაციის საშუალებები



პმ.28	ბუნების ძეგლებზე დამაგრებული ადგილების, სადაც ვრცელდება სააგენტოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, განსაზღვრა და რეგისტრაცია	<ul style="list-style-type: none"> პრიორიტეტული ბუნების ძეგლების ადგილები მიწის ზედაპირზე კანონითაა დადგენილი
პმ.29	დაცული ტერიტორიების გარეთ არსებულ სამთო საქმიანობას არ აქვს რაიმე ნეგატიური ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე	<ul style="list-style-type: none"> სააგენტოს პოლიტიკა სამთო საკითხებთან მიმართებაში განსაზღვრულია

3. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ადმინისტრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული შემდეგი შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები:

პროგრამის მიზნის ნომერი	მიზანი (რისი მიღწევა გვინდა გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.23	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია სათანადო ცოდნით და უნარებით აღჭურვილი თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> მოიძებნოს დაფინანსება ახალი სამტატო პოზიციებისთვის
პმ.24	ადამიანური რესურსების მართვა პროფესიონალურ დონეზე აყვანილი	<ul style="list-style-type: none"> სამუშაო აღწერილობების არსებობის უზრუნველყოფა ყველა თანამშრომლისთვის (ფუნქციები და პასუხისმგებლობები, კვალიფიკაცია, ა.შ.) წახალისების/დაჯილდოების სისტემის შექმნა თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების გამჭვირვალე ინდიკატორების შემოღებით განხორციელდეს ტრენინგების საჭიროების ანალიზი, შემუშავდეს და განხორციელდეს ტრენინგების პროგრამა, რომელიც დაფუძნებული იქნება გამოვლენილ საჭიროებებზე. გამოცდილების გაზიარება საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისაგან
	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას	<ul style="list-style-type: none"> საჭირო აღჭურვილობების სიის შედგენა როგორც სამოქმედო გეგმის ნაწილი აღჭურვილობების



პმ.25	გააჩნია ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფისთვის საჭირო აღჭურვილობა	შენარჩუნების უზრუნველყოფა <ul style="list-style-type: none"> · მოლაპარაკებების წარმოება მუნიციპალიტეტებთან და სოფლებთან ტრანსპორტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით
პმ.26	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებიც სათანადოდ არიან ჩართულნი დაცული ტერიტორიების საქმიანობებში, მათ ასევე აქვთ დამყარებული პარტნიორობა სხვა დაცულ ტერიტორიებთან და ინსტიტუტებთან/კომპანიებთან.	<ul style="list-style-type: none"> · „საკონსულტაციო საბჭოს“ დაარსება და წევრობის, ფუნქციების, პასუხისმგებლობების, პროცედურების და ა.შ. განსაზღვრა · შეთანხმება თანამშრომლობის სუბიექტებზე, მაგ.: ტურიზმის სექტორში, პრესის ერთობლივი ღონისძიებების დროს, საგანგებო გეგმების შემუშავებისას საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, როდესაც მღვიმეები გამოიყენება თავშესაფრებად · საერთაშორისო დონეზე მსგავსი დაცული ტერიტორიების მოძებნა და ურთიერთობების დამყარება · შესაძლებლობების იდენტიფიკაცია კერძო სექტორთან თანამშრომლობისთვის
პმ.27	ობიექტების მართვა გაუმჯობესებულია (ნარჩენები/წყალი/ტელეფონი და ინტერნეტთან წვდომა)	<ul style="list-style-type: none"> · <u>წყალთან</u> დაკავშირებით: <ul style="list-style-type: none"> - სათაფლიის წყალმომარაგების არსებული პროექტის განხორციელება - <u>ნარჩენებთან</u> მართვასთან დაკავშირებით: <ul style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ნარჩენების მართვისა და დანაგვიანების საკითხების შეტანა საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალებში - ახალი საშუალებების მოძიება (მაგ: თითოეული ვიზიტორი იღებს პატარა ნარჩენების პარკს შესაძლებელია ერთობლივი თანამშრომლობა კომპანიასთან – ორივე ორგანიზაციის ლოგოთი და მოკლე ინფორმაციული ტექსტით) · რაც შეეხება <u>საკომუნიკაციო ხაზების ტექნიკურ გაუმჯობესებას</u>:



		<ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტებთან და პროვაიდერებთან შეხვედრების ორგანიზება - გაუმჯობესების შესაძლებლობების განხილვა
პმ.28	<p>ბუნების ძეგლებზე დამაგრებული ადგილების, სადაც ვრცელდება სააგენტოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, საზღვრების განსაზღვრა და რეგისტრაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბუნების ძეგლებზე დამაგრებული მიწისზედა ფართობების განსაზღვრა და მათი რეგისტრაცია • ყველა ინფორმაციის ელექტრონიზაცია • შემუშავდეს პოლიტიკა და პროცედურები იმ ობიექტებისთვის, რომლისთვისაც სააგენტოს სურს, რომ გააჩნდეს საზღვრები (პრიორიტეტების მინიჭება) • მოლაპარაკებების წარმოება მიწის მეპატრონეებთან/მოსარგებლეებთან • განსაზღვრული ტერიტორიების შეტანა კანონმდებლობასა და საჯარო რეესტრში • დემარკაციის (საზღვრების გამიჯვნა) უზრუნველყოფა
პმ.29	<p>დაცული ტერიტორიების გარეთ არსებულ სამთო საქმიანობას არ აქვს რაიმე ნეგატიური ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეხვედრების ორგანიზება შესაბამის წარმომადგენლებთან და პასუხისმგებელ სამინისტროებთან.

თავი VII
მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი

მუხლი 39. ინდიკატორები და მათი შერჩევის დასაბუთებული ახსნა-განმარტება

პროგრამის მიზნებისთვის მენეჯმენტის გეგმის შესრულების ინდიკატორები აღწერილია მე-6 თავში. მაჩვენებლები შეირჩა გაზომვის პრინციპების შესაბამისად (რაოდენობრივი და თვისებრივი) და დროის ფარგლებში.

მუხლი 40. მონიტორინგი, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის გეგმის მიზნების პროგრესის მონიტორინგსაც

1. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი ორიენტირებულია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, რათა ხელი შეუწყოს უწყვეტ ადაპტურ მართვას. უწყვეტი ადაპტური მართვა არის მენეჯმენტის ქმედებებისა და ღონისძიებების გადახედვის პროცესი გამოცდილებისა და ახალი ინფორმაციის ფონზე.



2. ადმინისტრაცია განახორციელებს მონიტორინგს სამი ინტერვალით:

ა) წლიური მონიტორინგი

ყოველი წლის ივნისში იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მოამზადებს ანგარიშს ქმედებებისა და საქმიანობების შესახებ, რომლებიც განხორციელდა და მოხდება მათი შედარება მენეჯმენტი გეგმის მე-6 თავში გადმოცემულ ქმედებებთან და ღონისძიებებთან. ანგარიში უზრუნველყოფს სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვისა და განახლების საფუძველს, რომელიც წლიური ბიუჯეტის წარდგენის საფუძველს უზრუნველყოფს;

ბ) მენეჯმენტის ეფექტურობის სამწლიანი მონიტორინგი:

მენეჯმენტი გეგმის განხორციელების მესამე და მეექვსე წლების დასასრულისკენ ადმინისტრაცია ჩაატარებს მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასებას „მენეჯმენტის ეფექტიანობის გამოთვლის საშუალებით (METT)".

გ) ყოვლისმომცველი მიმოხილვა:

მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მეექვსე წელს ადმინისტრაცია განახორციელებს ყოვლისმომცველ, განახლებულ სიტუაციურ ანალიზს, მიზნებისა და ქმედებების მიმოხილვას. განახლებული სიტუაციის ანალიზი, მიმოხილული მიზნები და ქმედებები უზრუნველყოფს ახალი 6-წლიანი მენეჯმენტის გეგმის შემუშავების საფუძველს.

დანართები

დანართი 1. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების განმავლობაში გამოყენებული ინფორმაციის წყაროები:

დანართი 2. სათაფლიის ნაკრძალის, სათაფლიის აღკვეთილისა და ბუნების ძეგლების დეტალური აღწერილობა

დანართი 3. რუკები:

ა) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობის და საზღვრების რუკა;

ბ) სათაფლიის ნაკრძალი და აღკვეთილი: საზღვრები და ინფრასტრუქტურა;

გ) პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი: საზღვრები და ინფრასტრუქტურა;

დ) ოკაცის კანიონის ბუნების ძეგლი: ინფრასტრუქტურა.

დანართი 4. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფლორის სახეობების სიები

ა) ფლორა;

ბ) სოკოები.

დანართი 5. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფაუნის სახეობების სიები

ა) ძუძუმწოვრები;

ბ) ფრინველები;

გ). ქვეწარმავლები;

დ) ამფიბიები;

ე) უხერხემლო ცხოველები.



დანართი 1. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების განმავლობაში გამოყენებული ინფორმაციის წყაროები

არასრული სია

- "კონსერვაციული ბიოლოგია და საქართველოს დაცული ტერიტორიები" - ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე (ქუთაისი, 2013);
- "სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი" - ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი, თემიკო ჩხეიძე (ქუთაისი, 2007);
- "საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი" - ზურაბ ტატაშიძე, კუკური წიქარიშვილი, ჯუმბერ ჯიშკარიანი (თბილისი, 2009);
- ოფიციალური სამართლებრივი და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წლიური საქმიანობის ანგარიშები;
- 'თვინინგის' პროექტის ანგარიშები;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდი;
- ჩეხეთის განვითარების სააგენტო, დასკვნითი ანგარიში (იანვარი, 2014 წელი) „იმერეთის რეგიონის განვითარება“;
- „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვის გაზრდილი ეფექტურობა“;
- პრომეთეს მღვიმის ლიფლეტი;
- სათაფლიას მღვიმის ლიფლეტი;
- საქართველოს წითელი ნუსხა.

დანართი 2. სათაფლიის ნაკრძალის, სათაფლიის აღკვეთილისა და ბუნების ძეგლების დეტალური აღწერილობა

1. სათაფლიის ნაკრძალი და სათაფლიას აღკვეთილი

სათაფლიის ნაკრძალი და სათაფლიის აღკვეთილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბანოჯას მახლობლად მდებარეობს. სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს 330 ჰა ტერიტორიას, ხოლო აღკვეთილი - 34 ჰა-ს. სათაფლიის აღკვეთილის ტერიტორიაზე განთავსებული სათაფლიის ძირითადი მღვიმე (სათაფლიას I მღვიმე), რომელიც ვიზიტორთა მოსაზიდად არის განვითარებული და მოწყობილი და დამატებით კიდევ სამი მღვიმე - სათაფლიას II, III და IV მღვიმეები (მღვიმეების აღწერილობა იხ. ქვემოთ).

დინოზავრის ნაკვალევსა და სათაფლიის I მღვიმის აღმოჩენამდე სათაფლია ველური ფუტკრების გამორჩეულ ჰაბიტატად იყო ცნობილი. მიმდებარე სოფლების მოსახლეობა მეფუტკრეობას აქ საუკუნეების მანძილზე ეწეოდა. ამ ადგილს სახელი „სათაფლია“ (ანუ, „თაფლის მთა“) სწორედ აქ არსებული თაფლის დიდი რაოდენობის გამო დაერქვა.

სათაფლიის I მღვიმე 1925 წელს ქუთაისელმა მასწავლებელმა, ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა და ბუნებათმცოდნემ პეტრე ჭაბუკიანმა უძველესი სამოსახლოების ძეგლისას აღმოაჩინა. მღვიმის ჯამური სიგრძე 900 მ-ს აღწევს. 1933 წელს მღვიმისაკენ მიმავალი გზის მშენებლობისას პეტრე ჭაბუკიანის ყურადღება მიიქცია უცნობი ცხოველის ნაკვალევმა, როგორც შემდგომში გაირკვა ნაკვალევი ეკუთვნოდა ცარცულ პერიოდში გადაშენებულ ცხოველებს – დინოზავრებს. აღსანიშნავია, რომ სათაფლიაში ერთდროულად გვხვდება როგორც ბალახისმჭამელი, ასევე ხორცისმჭამელი დინოზავრების ნაკვალევი.



1935 წელს სათაფლია სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა, რომლის მთავარი მიზანი იყო ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ძეგლების დაცვა. სწორედ სახელმწიფო ნაკრძალზეა განთავსებული 300 ჰა-ზე მეტი ფართობის კოლხური ტყეები, რომლებიც კავკასიის ენდემურ მრავალ სახეობას - *Abies nordmanniana*, *Acer ibericum*, *Alnus barbata*, *Erythronium caucasicum*, *Galanthus woronowii*, *Hypericum xylosteifolium*, *Iris colchica*, *Pachyphragma macrophyllum*, *Paris incompleta*, *Philadelphus caucasicus*, *Polygonatum glaberrimum*, *Potentilla imerethica*, *Quercus imeretina*, *Rhamnus imeretina*, *Staphylea colchica*, *Veronica imerethica*-სა და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ მოწყვლად (VU) ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ (EN) სახეობებს მოიცავს - *Castanea sativa* (VU), *Laurus nobilis* (VU), *Ostrya carpinifolia* (EN), *Pterocarya pterocarpa*(VU), *Quercus macranthera* (VU), *Quercus pedunculiflora* (VU), *Ribes biebersteinii*, *Staphylea colchica* (VU), *Taxus baccata* (VU), *Ulmus glabra* (VU).

2011 წელს სათაფლიის ნაკრძალს გამოეყო სათაფლიას აღკვეთილი, დაზუსტებულ იქნა საზღვრები და ნაკრძალის ფართობი 354 ჰა-დან 330 ჰა-მდე შემცირდა, ხოლო აღკვეთილის ფართობი 34 ჰა-თი განისაზღვრა. სათაფლიას აღკვეთილში მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა, მოპირკეთდა ბილიკები და დამონტაჟდა საინფორმაციო დაფები.

1.1. სათაფლიას I მღვიმე (ტურისტული მღვიმე)

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებრივ კირქვებში.
2. მღვიმის შესასვლელი (5x2 მ) ძაბრისებური ღრმულის ფსკერზე იხსნება. მღვიმის ფსკერთან იგი დაკავშირებულია 4 მ სიმაღლის საფეხურით. წინა ნაწილში გვხვდება ეროზიული საფეხურები. შესასვლელიდან 210 მეტრში მღვიმის ულამაზესი, „გუმბათოვანი დარბაზი“ მდებარეობს, რომლის სიმაღლე 10 მ, ხოლო სიგანე - 12 მ-ია, 170 მეტრი კი „ნალვენთების სასაფლაოა“. მღვიმეს გააჩნია განშტოებები, სადაც გადაადგილება გამძნელებულია.
3. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
360	4.900-400	1,5-14	2-10	2500	8 000	5,4

4. ქიმიური ნალექებიდან – მღვიმე მდიდარია ნალვენთი ფორმებით. გუმბათოვანი დარბაზის ცენტრში დიდი ზომის ნალვენთებია – დარბაზის ცენტრში წამომართული სტალაგმიტის სიმაღლე თითქმის 8-10 მ-ია, გარშემოწერილობა - 10-12 მეტრი. იგი დღესაც განაგრძობს ზრდას, რასაც ხელს უწყობს ჭერიდან მიწისქვეშა ნაკადების ეპიზოდური ჩამოსვლა. მღვიმის კედლების კალციტის სქელი ქერქითაა დაფარული; მექანიკურიდან - ნგრევისა და გამოფიტვის ადგილობრივი მასალა, კირქვის ლოდები, თიხის სქელი ნაფენები და სხვ.
5. სტატიური. ჰაერის ტემპერატურა მღვიმეში - 13,5-14,0°-ია, ვენტილაცია - ბუნებრივი.
6. მღვიმის გამოსასვლელთან 5 - 10 მეტრში შემოდის მდ. ოდასყურის მიწისქვეშა ნაკადი. წვიმებისა და თოვლდნობის პერიოდში წყლის დებიტი მნიშვნელოვნად მატულობს. წყლის ტემპერატურა 13,0-14,0°-ის ფარგლებში მერყეობს.
7. შესასვლელის მახლობლად ხარობს ხავსები და სოკოები.

1.2. სათაფლიის II მღვიმე

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.



1. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებრივ კირქვებში.

2. შრეთაშორისი დაღმავალი მღვიმე. შესასვლელში (დიამეტრი 1მ) ვიწრო ხვრელია. წინა ნაწილი რამდენიმე ათეულ მეტრზე საფორთხ ხვრელს (სიმაღლე 0,6-0,8 მ) წარმოადგენს, სადაც ფსკერიდან სამი ეროზიული საფეხური (1, 1,5 და 2,5 მ სიმაღლეზე) გამოიყოფა. ფსკერი დასერილია კარული ზედაპირებით, რაც გადაადგილებას მნიშვნელოვნად აფერხებს. 75-ე მ-ზე პირველი მოზრდილი (სიმაღლე 5 მ) დარბაზია. მათ შორის აღსანიშნავია „ლოდთა“ და „გიგანტური“ დარბაზები. ამ უკანასკნელის სიგრძე 60 მ-ია, სიმაღლე კი 10 მ-ს აღემატება. მღვიმეში ვხვდებით შერჩევითი კოროზიით წარმოშობილ სხვადასხვა ფორმის ღრმულებს.

3. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
380	10-450-300	1,5-10	1,5-8	900	2 800	1,05

4. ქიმიური ნალექებიდან - 2 მ-მდე სიგრძის სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის მოფარდაგებანი, კალციტის ქერქადაკრული ქედაპირები; მექანიკურიდან - ნგრევის ადგილობრივი პროდუქტები, ნგრეულ ნაფენტა სისქე თითქმის 20 მ-ს აღწევს.

5. სტატიკური. ჰაერის ტემპერატურა მღვიმეში - 13,5-14,0°-ია, ვენტილაცია - ბუნებრივი.

6. მღვიმეში გაედინება ნაკადული, რომელიც რამდენიმე ტბას აჩენს და ნაზვავში იკარგება. წყლის ტემპერატურა 10-12°-ია.

7. ბინადრობენ ობობები, წყალში - ნიფარგუსები, კიბოსნაირები.

1.3. სათაფლიის III მღვიმე

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებრივ კირქვებში.

2. შესასვლელი 5 მ სიგანისა და 3 მ სიგანის ეფექტური ფორმის ხვრელია. საკუთრივ მღვიმე წარმოადგენს დახრილფსკერიან მოზრდილ დარბაზს (სიმაღლე 15 მ, სიგანე - 16 მ), რომლისაც აღმოსავლეთიდან ებმის ორსართულიანი, მოკლე გვირაბი და 55-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.

3. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
405	12-55-50	5-16	3-15	475	4 500	0,04

4. ქიმიური ნალექებიდან - ზრდაშეჩერებული ნემსისებური სტალაქტიტები, სტალაგმიტები; მექანიკურიდან - ნგრევის ადგილობრივი მასალა, აქა-იქ - თიხის ნაფენები.

5. დინამიკური. ჰაერის ტემპერატურა მღვიმეში - 12,5-14,0°-ია.



6. მშრალია.

7. ბინადრობენ ობობები, გუბურებში - ნიფარგუსები, კიბოსნაირები.

1.4. სათაფლის IV მღვიმე

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებრივ კირქვებში.

2. დაღმავალი მღვიმე იწყება ვიწრო შესასვლელით, რომელიც იქვე უკავშირდება წრიული ფორმის დარბაზს (სიმაღლე 10 მ, სიგანე - 12 მ), საიდანაც გამოეყოფა რამდენიმე ძლიერ დაბალი დაღმავალი განშტოებები, რომლებშიც მოძრაობა მხოლოდ ფორთხვითაა შესაძლებელი.

3. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
305	40-100-50	1-1	1-10	200	450	0,2

4. ქიმიური ნალექებიდან - ზრდის პროცესში მყოფი სტალაქტიტები, ზრდაშეჩერებული ნალვენტები და კალციტის ქერქი; მექანიკურიდან - ნგრევის ადგილობრივი მასალა, თიხის სქელი ნაფენები.

5. სტატიკური.

6. მშრალია. შეიმჩნევა დროებით ღვართა ნაკვალევი.

7. ბინადრობენ ობობები, კოლოები.

2. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი (თავდაპირველი სახელწოდება „წყალტუბოს მღვიმე“) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში მდებარეობს და 46.6 ჰა-ს მოიცავს. პრომეთეს მღვიმე აღმოჩენილ იქნა 1984 წლის 15 ივნისს თბილისის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, სპელეოლოგიური ექსპედიციის დროს. იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გამო საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ისეთი ადგილების აღმოჩენით, რომლებიც ბირთვური ომის შემთვევაში სავაკუაციოდ გამოდგებოდა. სწორედ შესაფერისი ადგილების ძებნის პროცესში გადააწყდა ექსპედიციის 5-კაციანი ჯგუფი ამ ღირსშესანიშნავ მღვიმეს.

მღვიმის შესასვლელი დონიდან 147 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და შესასვლელი 40 მ-ის სიღრმის 200-250 მ-იან დახურულ სივრცეს წარმოადგენს. მღვიმის შესასვლელი სიმაღლეში 2,5-3 მ-ია, ხოლო სიგანე - 4 მ. პრომეთეს მღვიმე 17 დარბაზისაგან შედგება, რომელთაგანაც ვიზიტორებისათვის მხოლოდ 6-ია ღია. მღვიმის შესწავლილი ნაწილის სიგრძე 3700 მ-ია, ხოლო ჯამური სიგრძე დაახლოებით 20 000 მ. კეთილმოწყობილი ბილიკის სიგრძე 1420 მ-ია. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა და მდიდარია სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, გაქვავებული ჩანჩქერებითა და დაკიდული გაქვავებული ფარდებით.

მღვიმის კირქვის მასივების კომბინაცია სუბტროპიკულ ჰავასა და ნოტიო ნიადაგთან ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცენარეული საფარის სწრაფ ზრდას. წარსულში მღვიმის ზედაპირი დაფარული იყო ფართოფოთლოვანი კოლხური ტყეებით. დროთა განმავლობაში და კლიმატური პირობების ცვლილებასთან ერთად ტყე გაქრა და ადგილი დაუთმო ბუჩქნარებს. მღვიმის შემოგარენში ასევე ხშირია მერქნიანი ხე-



მცენარეები. პრომეთეს მღვიმეში ტემპერატურა მუდმივად +14⁰C-ია. მისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატის გამო მღვიმე დასახლებულია სიბნელესთან იოლად ადაპტირებადი ორგანიზმებით: ღამურებით, მტკნარი წყლის მოლუსკებით, ობობებითა და ხოჭოებით.

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. ადგილმდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, კურორტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ-ის დაშორებით, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე, მდ. ყუმის ვოკლუზების ჩათით 0,5 კმ-ზე. კოორდინატებია: 42,3631; 42.6076.

2. გამომუშავებულია ბარემული ასაკის (ურგონული ფაციესი) სქელშრეებრივ და მასიურ კირქვებში, ვერტიკალური და მკვეთრად დახრილი დიაგენეტური ნაპრალების გადაკვეთის ადგილას.

3. მღვიმის ძირითადი შესასვლელი ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე დასავლეთისაკენ არის ორიენტირებული. მღვიმეში მოხვედრა ჭერის ჩაქცევით წარმოშობილი კანიონის ფერდზე დაშენებული ბეტონის კიბეებით არის შესაძლებელი. მეორე - შედარებით დამრეცი და ვიწრო შესასვლელი მდ. ყუმის ვოკლუზების ჩრდილოეთით 0,7 კმ-ზე (ე.წ. „ანძების“ მიდამოებში), ასევე ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე იხსნება, რომელიც მღვიმის შუა მონაკვეთში, ეპიზოდურად გამდინარე ნაკადის კალაპოტში დაბალი და მეანდრირებული დახრილი დერეფნის საშუალებით შემოდის. მღვიმის წინა მონაკვეთი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. მისი სიგრძე 100 მ-მდეა; იგი ძირითადად ოფიჭოდან ამოღვრილი წყლის ნაკადების განტვირთვის არეალს წარმოადგენს, რომელიც მღვიმის ქვედა ჰორიზონტის გავლით ყუმის ვოკლუზებში იწრიტება. მღვიმის შემდგომი გაგრძელება შესაძლებელი გახდა წყალკარგვის პონორების თავზე არსებული ვიწრო ხვრელის გაფართოებით, რომელიც ძირითადად თიხის სქელი ფენით იყო ამოქოლილი. ხვრელის მიღმა მღვიმის ძირითადი დერეფანი აღმოჩნდა, რომელსაც უშუალოდ კეთილმოწყობითი სამუშაოები შეეხო. იგი ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელებით დაკავშირებული რიგი დარბაზებისაგან შედგება. მღვიმის მაქსიმალური სიგანე 25-30 მ-ია, ჭერის სიმაღლე 20-25 მ. ზოგიერთი დარბაზის სიგრძე 80-100 მ-ს აღწევს.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
147 (20)	2 900	1-25	1-20	22 000	203 000	84,1

5. მღვიმე ნალვენთი წარმონაქმნების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, სტალაქტიტ-სტალაგმიტების ნაირგვარი ფორმები, კალციტირებული ფარდები, სტალაგმიტთა კოლონები, კალციტთა სვეტები, მძლავრი ქერქგადაკრული უბნები, დამარხული კოლონები და სტალაგნატები. მღვიმის ქვედა სართული წყლის ნაკადების პერიოდულ ზემოქმედებას განიცდის. იგი ძირითადად შავი-მოყავისფრო ნივთიერებით დაფარული ნალვენთი ფორმებით არის წარმოდგენილი. მათი სპექტრალური ანალიზით დადგინდა, რომ იგი თიხოვან კარბონატებს, ანუ, კარბონატ-ალუმინოსილაკატურ ნარევეს წარმოადგენს. მღვიმის ზოგიერთ უბანზე ფართოდ არის წარმოდგენილი გრავიტაციული, წყლის მექანიკური, ლოდნარ-ნაზვავი მასალა, 10 000 მ³ ფართობის პლასტიკური თიხის ნაფენები.

6. მრავალწლიანი მეტეოროლოგიური დაკვირვებებით დადგინდა, რომ მღვიმის კლიმატი შედარებით სტაბილურია. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, მღვიმურ ჰაერს არსებითი ცვლილება არ განუცდია. ჰაერის ტემპერატურა მღვიმეში 13,5-14,5⁰-ია, რყევის ამპლიტუდა ერთსა და იმავე წეტილში (წლის განმავლობაში) 0,2-0,5⁰-ს არ აღემატება; სტაბილურია მღვიმის ჰაერის შეფარდებითი სინოტივეც (96-99%).

მღვიმის დარბაზებში რადონის კონცენტრაცია 307-დან 6905 ბკ/მ³ ფარგლებში იცვლება. გამარადიაციული ფონი 45-დან 133 ნზვ/სთ ფარგლებშია მოქცეული. მღვიმის ერთსა და იმავე



დარბაზში (2007 წლის ზაფხული) რადონის კონცენტრაცია ორი და მეტი რიგით მაღალი აღინიშნა, ვიდრე 2008 წლის გაზაფხულზე. 2007 წლის ზაფხულში აეროიონების ჯამური შედგენილობა იმავე პუნქტებში 1,59-ჯერ მაღალია, ვიდრე 2008 წელს. რაც შეეხება გამარადიაციულ ფონს, დაკვირვების მონაცემები უმნიშვნელოდ (10%) განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მღვიმის ჰაერში მაღალი ბუნებრივი რადიოაქტიურობა და მსუბუქი იონების დიდი კონცენტრაცია დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. მღვიმის ჰაერში ნახშირბადის დიოქსიდის შემცველობა 0,05-დან 0,3%-მდეა; სხვა გაზები მღვიმეში არ აღმოჩნდა, არ შეიცავს მავნე და სიცოცხლისათვის საშიშ მინარევებს.

7. მღვიმის სისტემაში პერიოდულად გაედინება ნაკადი, რომელიც სათავეს სამგურალის ქედის დასავლეთ ფერდობზე იღებს. ნაკადის დებიტი არამდგრადია. მისი ხარჯი 20-50 ლ/სმ-დან 3 000 ლ/წმ-მდე (10.08.1984) მერყეობს. თავსხმა წვიმების პერიოდში მღვიმეში გამდინარე ნაკადის ხარჯი მკვეთრად მატულობს. მაგ., 1986 წლის 19 აგვისტოს, ზედაპირზე 118 მმ ნალექის დროს, ყუმის ვოკლუზების ხარჯმა 18 მ³/წმ გადააჭარბა ამ დროს ოფიჭოდან დაახლ. 30 000 მ³წყალი ამოიღვარა, რომელიც ცეცდა სართულებში გადინებით, მდ. ყუმის ვოკლუზებში გაიწრიტა.

მღვიმეში მუდმივად არსებული რამდენიმე სიფონური ტბაა, რომელთა ტემპერატურა 11,5-11,8°-ია.

8. მღვიმეში ბინადრობენ ობობები, ხოჭოები, ღამურები; ტებში - ნიფარგუსები და სხვ. მიკვლეულია ღამურათა *Rhinolophus ferrimeguinum*, *Rhinolophus hipposideros* და *Rhinolophus Euryale*-ს ერთეული ინდივიდები.

3. თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კურორტ წყალტუბოს ტერიტორიაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე.

2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში.

3. 7 მ სიღრმისა და 2 მ დიამეტრის შვეული ხვრელით უკავშირდება ვრცელ, ჰორიზონტულფსკერიან დარბაზს, რომლის სიგანე 10-25 მ, ხოლო ჭერის სიმაღლე - 6-10 მ-ის ფარგლებში მერყეობს. მღვიმე საინტერესოა ძველი სიფონური არხების მრავალფეროვნებით, რომელთა მეშვეობით წნევიანი წყლების შემოდინებას ჰქონდა ადგილი.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
80 (-)	7-100-90	2-35	2-10	1790	9000	0,06

5. მდიდარია მრავალფეროვანი ნალვენთი წარმონაქმნებით (სტალაგმიტები, სტალაქტიტები, სვეტები, „მცურავი კალციტი“, მოფარდაგებანი, ბორდიურები (გარშემოწერილობა 11 მ), გურები და სხვ.; მექანიკური ნალექებიდან - გამოფიტვის ადგილობრივი მასალა, თიხის სქელი (9 მ) ნაფენები.

6. სტატიკური. ჰაერის საშუალო ტემპერატურა მღვიმეში 13°-ია; მღვიმის ჰაერი მაღალი უარყოფითი იონიზაციითა (3000-9000 რიცხვი/სმ³) და ბუნებრივი რადიოაქტიურობის შედარებით მაღალი ფონით (19,2,10-11 კიურ/ლ) ხასიათდება, რაც მნიშვნელოვან სამკურნალო



თვისებებს სძენს მას.

7. მშრალია, თუმცა ზოგიერთ უბანში საფეხურებრივად განლაგებული წყლის მცირე აუზებია წარმოდგენილი, ირგვლივ კალციტოვანი ბარიერებით.

8. მღვიმეში ბინადრობენ ობობები, ღამურები, უმდაბლესი კიბოსნაირებიდან – *Morarai cornuta* Bor., ობობებიდან – *Holocnemus Vongipes Spassky* და სხვ.

9. მღვიმე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს. შესასვლელთან გაჭრილ 10-მეტრიან შურფის შრეში მოპოვებულია მღვიმური დათვის, ირმის, ბიზონის, მგლის, მელას, კურდღლის ძვლები; კაჟის მრავალფეროვანი ინვენტარი (საფეხკები, დანები, შუბისპირები); ენეოლითურ შრეში აღმოჩენილია კერამიკის ნაშთები.

10. მღვიმე ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო ექსპერიმენტალურ ბაზას წარმოადგენდა, სადაც წარმატებით მკურნალობდნენ ბრონქიალური ასთმითა და ჰიპერტონიით დაავადებულ პაციენტებს. სასურველია მღვიმის შემდგომი გამოყენება სპელეოთერაპიული მიზნებისათვის, საწყობ-მაცივრად და მცირე სიმძლავრის სამრეწველო საწარმოს ასამოქმედებლად.

4. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

1. მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხომულის მიდამოებში არსებული ტბის მახლობლად.

2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში.

3. მღვიმე იწყება წამოხურული კარნიზით. შესასვლელის წინ (ზედაპირზე) ჩაქცევით წარმოშობილი ტბაა. 4 მეტრიანი საფეხურით მღვიმე ორ ნაწილად იყოფა. წინა ნაწილი ვრცელია, ფსკერზე კარსტული ძაბრებით. მეორე ნაწილი ვიწრო ხვრელია, სადაც გადაადგილება მხოლოდ ფორთხვით არის შესაძლებელი;

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
95 (10)	2-70-70	5-18	1-6	1370	1000	0,04

5. ქიმიური ნალექებიდან - სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის გურები; მექანიკურიდან - ნგრევის ადგილობრივი მასალა, გუანოს ნარჩენები.

6. დინამიკური. ჰაერის ტემპერატურა მღვიმეში 13,5-14,0° აღინიშნა (ივლისი, 2008).

7. მშრალია. შეიმჩნევა დროებით ღვართა ნაკვალევი. გვირაბის ბოლოში პატარა ტბაა. შესასვლელის წინ, ზედაპირზე არსებული ტბის სიღრმე 5 მ-ია, გარშემოწერილობა - 30 მ. იგი მიწისქვეშა დინებით წყალტუბოს წყალსაცავს უერთდება.

8. მღვიმეში ბინადრობენ ღამურები, ობობები, მრავალფეხიანები.

9. შესასვლელთან გათხრილ საცდელ შურფში გამოვლენილია მცირე რაოდენობით წითელი თიხის კერამიკის ნამსხვრევები. ქვედა ჰორიზონტში მრავლადაა მეოთხეული ცხოველების, მათ შორის, დიდი რაოდენობით მღვიმური დათვის ძვლები.



5. ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი

მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცუცხვათის შემოგარენში, მდ. ყვირილას შენაკადის, მდ. ჭიშურას მარჯვენა სანაპიროზე - აუზის სამხრეთით.

ღირშესანიშნაობა: ოკრიბა-არგვეთის ქედში, უროგენულ კირქვებში გამომუშავებულ ცუცხვათის მღვიმოვანს ადგილობრივები „მადარას“ უწოდებენ.

მღვიმე შედგება 13 სართულისგან. ქვევიდან პირველი სართული ადამიანისთვის გაუვალი ვიწრო ხვრელია, რომელშიც გაედინება მუდმივი ნაკადი - მდ. შაბათაღელე. მღვიმის ქვემოთ მდინარეს ჭიშურა ეწოდება.

მეორე სართული (მთავარი ტალანი) ატარებს უზარმაზარი ბუნებრივი გვირაბის ხასიათს (სიგრძე - 200 მ, სიგანე - 10-30 მ, სიმაღლე 10-28 მ). მასში წყალი მხოლოდ შაბათაღელის წყალდიდობის დროს გაედინება. ტალანის განშტოებებში არის წყაროები, პატარა ტბა, კალციტის ნაწვეთი ფორმები. ჭერთან შენახულია ადამიანის მიერ დამაგრებული ძეგლები - ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი.

მეოთხე სართულიდან დაწყებული და უფრო ზევით მღვიმეები უწყლოა. მათში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან (მუსტიეს ეპოქიდან) ბრინჯაოს ხანამდე და ისტორიულ ეპოქამდე, ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს: 1. ბრინჯაოს მღვიმე (V სართული), რომლის ნაფენტა საერთო სიმაღლედ 12-13 მეტრს აღწევს; მათში აღბეჭდილია უკანასკნელი 140 000 წლის განმავლობაში მომხდარი კლიმატური ცვლილებები; 2. ზედა მღვიმე (XI სართული), სადაც აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი საკულტო საგნები: საგანგებოდ დალაგებული მღვიმური დათვის თავის ქალები, ბარძაყის ძვლები და კბილები, მსხვერპლად შეწირულ სხვა ცხოველთა ძვლები; 3. ქარაფში გახსნილი სამი მღვიმე (მოაჯირიანი, ღამურებისა და დათვის - VII-IX სართულები), რომლებიც ატარებენ ფეოდალიზმის ხანაში სიმაგრეებად გამოყენების ნიშნებს - შენახულია ქვითკირის კედლები, გამოჭრილი საფეხურები, ქვევრების ნატეხები. აქვე ღამურების დიდი კოლონიაა.

თავისი სიძველითა და სართულების რაოდენობით ცუცხვათის მღვიმოვანი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცუცხვათის სამხრეთით, მდ. ჭიშურას ხეობა, 320 მეტრი ზღვის დონიდან.

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია “საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან”.

კომპლექსი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის სამხრეთით, ოკრიბა-არგვეთის სერზე, ზღვის დონიდან 250-400 მ სიმაღლეზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ მღვიმურ სისტემას „მადარას“ სახელით მოიხსენიებს. ცუცხვათის მღვიმოვანის კომპლექსური შესწავლა 1970 წლიდან, პროფესორ ლევან მარუაშვილის ინიციატივით დაიწყო.

მღვიმური კომპლექსი გამომუშავებულია ცუცხვათის ქვაბულში გამდინარე პატარა მდინარის - შაბათაღელის მიერ ქვედაცარცული ასაკის მასიურ კირქვებში. შესასვლელები განლაგებულია ოკრიბა-არგვეთის სერის ორივე მხარეზე. მღვიმურ სისტემას 6-7 ჰა უკავია. მდინარის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე მღვიმემდე 60-70 მ-ია; მღვიმეების აბსოლუტური სიმაღლეები 290-360 მ-ის ფარგლებში მერყეობს. მღვიმოვანი გარშემორტყმულია გორაკ-ბორცვებით, რომელთა თხემები ზღვის დონიდან 600-800 მ სიმაღლეზეა.

ცუცხვათის ქვაბულს წაგრძელებული ფორმა აქვს (6x5 კმ). შაბათაღელე და მისი შენაკადები ქვაბულის ფსკერის გავლის შემდეგ ერთიან ნაკადად მიედინება მღვიმოვანის ქვეშ ყველაზე ახალ გამჭოლ მღვიმეში, რომლის სიმაღლე 20-25 მ-ია, სიგანე კი - 10-12 მ. მღვიმოვანის გასვლის შემდეგ შაბათაღელე მდინარე ჭიშურას სახელით აგრძელებს გზას და სოფელ აჯამეთთან ყვირილას უერთდება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი ლევან მარუაშვილი) მღვიმოვანის 75 მ-იან ვერტიკალურ ჭრილში 13 სართული გამოყო.

თავისი სიძველითა და სართულების რაოდენობით ცუცხვათის მღვიმოვანი ერთ-ერთი პირველია



ცუცხვათის I მღვიმე (შაბათაღელის მიწისქვეშა კალაპოტი)

1. მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცუცხვათსა და ჭალასთავს შორის, უახლოესი საავტომობილო გზიდან (სოფ. ჭალასთავიდან) 4 კმ-ზე, ოკრიბა-არგვეთის ქედზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურას აუზი (მდ. ყვირილას სისტემა).
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
3. მთლიანად წყლით გამოვსებული, უშუალოდ კვლევისათვის მიუწვდომელი ტალანი, რომელშიც ძირითადად გაედინება ამჟამად მდ. შაბათაღელე (ჭიშურა). ცუცხვათის მღვიმოვანის პირველი ჩანასახური (ვოკლუზურ სტადიაში მყოფი) სართული, ზღ. დონიდან 250-270 მ სიმაღლეზე იხსნება, მისი სიგრძე კი 310 მ-ს აღწევს.
4. მღვიმე მთავარი ტალანის დასაწყისში (ჩრდილო ბოლოში) ტბის სახით, ხოლო მთავარი ტალანის ბოლოში - მდ. ჭიშურას ნაპირზე გამომავალი სამი ვოკლუზის სახით არის წარმოდგენილი. ვოკლუზების დებიტი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მიწისქვეშა კალაპოტის კოროზიული გაფართოების შედეგად საგრძნობლად არის მომატებული.

ცუცხვათის II მღვიმე

1. შაბათაღელის მიწისქვეშა კალაპოტის ზემოთ 15 მეტრზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურას (მდ. ყვირილას სისტემა) აუზი.
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში. შრეები დახრილია სამხრეთისაკენ 20-25°-ით.
3. სუბჰორიზონტული, გამჭოლი ტალანი, სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე რამდენიმე განშტოებით (III-VI სართულების ნაშთებით). სიმაღლეთა სხვაობა ზემო და ქვემო ბოლოებს შორის - 9 მ. მრავალსართულიანი მღვიმის II სართული გაჩენილია ზედა მეოთხეულში. მისი განშტოებებია: რკალისებური მღვიმე (სიმაღლე - 6 მ, სიგრძე - 30 მ), გაერთიანებული ტალანი (სიმაღლე - 13 მ, სიგრძე - 80 მ), აპენდიქსი (სიმაღლე - 4 მ, სიგრძე - 60 მ).
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
260-270	20-370-190	2-50	3-28	4900	45 880	1,4

5. ქიმიური ნალექებიდან - სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის სვეტები, ნალვენთი ჯავშანი, ტრავერტინები; მექანიკურიდან - ალოხტონური ალუვიონი, წყლის მიერ შეტანილი ფიჩხი.
6. დინამიკური. შესასვლელთან ჰაერის ტემპერატურა - 19,9°, 80 მ სიღრმეში კი - 20,8° აღინიშნა (მეტეოროლოგიური დაკვირვებები აქ და მღვიმოვანის დანარჩენ სიღრუვეებში ჩატარებულია თვითმწერი მეტეოხელსაწყობის გამოყენებით, ბორის გერგედავას მიერ, 1970-71 წლებში).
7. წყალდიდობისას მთავარი ტალანის ფსკერზე გაედინება მდ. შაბათაღელის ჭარბი ნაკადი, რომელიც ჩვეულებრივად მთლიანად ინთქმება ტალანის ჩრდილო შესასვლელთან არსებული ტბის ფსკერში. წყალმცირობის დროს მხოლოდ გუბეები რჩება. ერთ-ერთ განშტოებაში არის სასმელად ვარგისი წყარო. მომცრო ტბა წარმოდგენილია სკალისებურ მღვიმეშიც.



8. ტროგლობიონტების საარსებო პირობები არ არის. გაერთიანებული ტალანის ერთ-ერთ ჩინისებურ შტოში, წიფლის გახრწნილ ფოთლებზე გ. კოკოჩავილის მიერ ნაპოვნი იქნა მოლუსკ ლიმნეა ტრუნკატულის (*Lymnaea truncatula*) მოზრდილი კოლონია.

9. მღვიმის ჩრდილო დარბაზში აღმოჩნდა შუა საუკუნეების დროინდელი რელიგიური ნაგებობის ნაშთები, ხოლო სამხრეთულ დარბაზში - ანტიკური კერამიკის ნაშთები.

ცუცხვათის III (ბიზონის) მღვიმე

1. სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ.შაბათაღელე (მდ. ყვირილას სისტემა)
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
3. მოკლე ეხი, შესასვლელისაკენ დახრილი ფსკერით. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის IV სართული. შესასვლელი ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, იქვეა ჩამონგრეულ ნაზვავთა უზარმაზარი დანაგროვები.
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
290(13)	+5-18-15	5-7	4-6	108	350	0,002

5. ძირითადად წარმოდგენილია ავტობტონური ალუვიონი (შთენილი თიხნარი, კრიოკლასტური მასალა). შესასვლელთან - ხვრელიდან ჩამოყრილი ღორღი.
6. დინამიკური. შესასვლელთან ჰაერის ტემპერატურა- 20,3°, 15 მ სიღრმეში კი - 20,0° აღინიშნა (16—27.08.1970).
7. მშრალია.
8. ზედა მუსტიესა და ბრინჯაოს ხანის ნამარხი ფაუნა: პირველყოფილი დომბა, კეთილშობილი ირემი, ცხენირემი და სხვ.

ცუცხვათის IV (ბრინჯაოს) მღვიმე

1. სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურა (მდ. ყვირილას სისტემა).
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
3. სუბჰორიზონტული დაღმავალი მღვიმე, ბოლოში ორ ტალანად განტოტვილი. ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული სიღრუე გამომუშავებულია ტრანზიტული მდინარის მიერ შუა მეოთხეულში. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის V სართული. შესასვლელთან ნაპრაღია, რომელიც ნთქავს ღორღს და ატარებს ბიზონის მღვიმისაკენ.
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
300(17)	+20-90-80	2,5-1,4	3-6	270	1 080	0,1



5. ძირითადად წარმოდგენილია ავტობტონური ალუვიონი (ღორღი, თიხნარი და მათი კომბინაციები). აღწერილია საყრდენი კლიმატო-სტრატოგრაფიული ჭრილი, ნაფენების ერთობლივი სიმაღლე 10 მ-ს აღემატება.

6. დინამიკური. შესასვლელთან ჰაერის ტემპერატურა – 20,6°, 80 მ სიღრმეში კი - 14,3° აღინიშნა (13—28.08.1970).

7. მშრალია.

8. ნაპოვნ იქნა გვიან ბრინჯაოს, ენეოლითის, ზედა პალეოლითის, მთელი მუსტიესა და ტაიაკის ხანის ნამარხი ფაუნა: პირველყოფილი დომბა, კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, მღვიმური დათვი, მგელი, ცხენირემი და სხვ.

ცუცხვათის V (ორმაგი ეხის) მღვიმე

1. სოფელ ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურას აუზი (მდ. ყვირილას სისტემა).
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
3. ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული სიღრუე. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის VI სართული. მისი ჩრდილო გაგრძელება ჩანგრეულია მთავარ ტალანში.
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
285(25)	+1,5-25-16	1-9	1-3,5	120	360	0,002

5. წარმოდგენილია ალობტონური (ქვედა შრე), ალუვიური თიხნარი - გაჩენილი ცუცხვათის ქვაბულის იურული წყებების ხარჯზე. ავტობტონური: თიხნარით შევსებული ღორღით (კრიოკლასტური და შთენილი ნაფენები); ოდესღაც მთლიანად გამოვსებული იყო ფხვიერი ნაფენებით.

6. დინამიკური. ეხი განათებულია ბოლომდე.

7. მშრალია.

8. მუსტიე; ნამარხი ფაუნა: პირველყოფილი დომბა, კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, მღვიმური დათვი, მგელი და სხვ.

ცუცხვათის VI (დათვის) მღვიმე

1. სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურას აუზი (მდ. ყვირილას სისტემა).
2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
3. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის VII სართული. შესასვლელი იხსნება მიუვალ ქარაფში.
4. ზომები:

აბსოლუტური და	სიღრმე, გაჭიმულობა,	სიგანე, მინიმალური,	სიმაღლე მინიმალური,	ფსკერის ფართობი,	საერთო	კორბელის
---------------	---------------------	---------------------	---------------------	------------------	--------	----------



შეფარდებითი სიმაღლე, მ	საპროექტო სიგრძე, მ	მაქსიმალური, მ	მაქსიმალური, მ	მ ²	მოცულობა, მ ³	კოეფიციენტი
320(48)	+1,5-8,5	1-3	2-4	24	48	6,0

- წარმოდგენილია ავტობტონური: დესკვამაციური ღორღი და თიხა.
- დინამიკური. ეხი განათებულია ბოლომდე.
- მშრალია.
- მუსტიე; ნამარხი ფაუნა: მაჩვზღარბი, მღვიმური დათვი და სხვ.

ცუცხვათის VII (ღამურების) მღვიმე

- სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურა (ყვირილას სისტემა).
- გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
- სუბჰორიზონტული აღმავალი სიღრმე. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის VIII სართული. შესასვლელი იხსნება მიუვალ ქარაფში.
- ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
325(53)	0-54	1-3	2-4	216	432	8,0

- წარმოდგენილია ავტობტონური: სტალაქტიტები, სტალაგმიტები, თიხნარი; გვხვდება გუანოს დანაგროვები.
- დინამიკური.
- მშრალი.
- ღამურების დიდი კოლონია. მათ ექსკრემენტებზე: ტროგლობიონტი კოპროფაგები (*troglobiont coprophags*) და საპროფაგები (*saprophags*).
- შესასვლელის წინ ქვის მოაჯირი, ნაპოვნია ქვევრების ნამტვრევები.

ცუცხვათის VIII (მოაჯირიანი) მღვიმე

- სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურა (ყვირილას სისტემა).
- გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
- სუბჰორიზონტული აღმავალი სიღრმე. შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან იხსნება მიუვალ ქარაფში. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის IX სართული.
- ზომები:

აბსოლუტური და	სიღრმე, გაჭიმულობა,	სიგანე, მინიმალური,	სიმაღლე მინიმალური,	ფსკერის	საერთო	კორბელის
---------------	---------------------	---------------------	---------------------	---------	--------	----------



შეფარდებითი სიმაღლე, მ	საპროექტო სიგრძე, მ	მაქსიმალური, მ	მაქსიმალური, მ	ფართობი, მ ²	მოცულობა, მ ³	კოეფიციენტი
328(56)	0-6	1-3	2-4	18	36	6,0

- ქიმიური ნალექები არ გვხვდება.
- დინამიკური.
- მშრალია.
- შესასვლელის წინ ქვითვირის კედელი - მოაჯირი.
- საჭიროა სპელეოლოგიური საჭურველი.

ცუცხვათის IX (პორფირიტული) მღვიმე

- სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურა (ყვირილას სისტემა).
- გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
- პატარა სუბჰორიზონტული აღმავალი მღვიმე. შესასვლელი სამხრეთისაკენ იხსნება. ნაფენების მოშორებამ გამოაჩინა ფსკერში ჩაჭრილი კალაპოტი ყოფილი ნაკადისა. ციცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის X სართული.
- ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
330(60)	0-5	2-3	1-3	8	15	3,0

- ავტოხტონური: შთენილი თიხნარები; ალოხტონური: ცალკეული ეგზოტიკური ქვარგვალეები; ფხვიერი გამოვსების საერთო სისქე 1 მ-ზე მეტია.
- დინამიკური.
- მშრალია.
- ნაშთები არ აღმოჩნდა.

ცუცხვათის X (ცუცხვათის ზედა) მღვიმე

- სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელეს აუზი.
- გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.
- ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის XI პატარა ეხი, შიგნითკენ ორად იტოტება. შესასვლელი ჩაკეტილი იყო კირქვის ლოდებით. გათხრებისას გადაგორებული იქნა. ზღუდე ალბათ ხელოვნური იყო.
- ზომები:



აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
330(60)	0-6-4	1,5-3	1-2	8	19	0,0006

5. ავტობტონური (ღორღი, ბრეჭიები).

6. ეხი მთლიანად განათებულია.

7. მშრალია.

8. ნაშთები არ აღმოჩნდა.

9. მიკვლეულ იქნა მუსტიე, ზედა პალეოლითისა და ბრინჯაოს საკულტო საგნები: მღვიმური დათვის თავის ქალები, კიდურების მთლიანი ძვლები და სხვ.; ნამარხი ფაუნა: მღვიმური დათვი, პირველყოფილი დომბა ჭრელტყავა, ცხენი, თრია, ჯიხვი, ღორი, ირემი და სხვ.

ცუცხვათის XI (ბეჭიასტის) მღვიმე

1. სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურას აუზი (ყვირილას სისტემა).

2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ (ურგონულ) კირქვებში.

3. სუბჰორიზონტული, აღმავალი, ორსართულიანი (სავარაუდოდ, XII-XIII). სართულები ჩადგმულია ერთმანეთში. მღვიმის სიღრმეში ტრავერტინისებური ქანის შთენილი სვეტია წამომართული. კარგადაა გამოსახული მიწისქვეშა ეროზიული ტერასები.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
335(75)	0-25	1,5	5	125	180	7,5

5. თიხნარები ცოტაოდენი ღორღითა და ალოხტონური ქვარგვალეებით. ნაფენების საერთო სისქე წინა ნაწილში 3 მ-ს აღწევს. გამოიყოფა 11 შრე.

6. დინამიკური. ჰაერის ტემპერატურა შესასვლელთან – 24.8°, მღვიმეში 20 მ სიღრმეზე - 19,9° (17.08.1971)

7. მშრალია.

8. ბინადრობენ ღამურები, დელიქოპოდები.

9. გათხრებისას არ აღმოჩნდა ნამარხი ფაუნის ნაშთები. არის მაჩვთა ძველი სოროები.

6. ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი



ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავენახევის ტერიტორიაზე, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან 7 კმ-ის დაშორებით.
2. გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში.
3. მღვიმის შესასვლელი ძაბრისებული ფორმის ფსკერზე იხსნება. წინა ნაწილში ჭერის სიმაღლე 5 მ-ია. შესასვლელიდან 30-ე მ-ზე ძირითადი დერეფანი 2-ად იყოფა. მეორე სართული მოკლე საფეხურებით ვრცელ დარბაზს უკავშირდება, რომლის ჭერის სიმაღლე 15 მ-ს აღემატება. ამჟამად შესასვლელამდე მიყვანილია მოპირკეთებული საავტომობილო გზა, შებმული აქვს რკინის კარი, გაყვანილია ბეტონირებული ტურისტული ბილიკები, სამზერი მოედნები
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
235(--)	12-105	2-7	3-15	800	5 600	0,2

5. ქიმიური ნალექებიდან - სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების მოზრდილი ფორმები. ზოგიერთი მათგანის სიგრძე - 5 მ-ია; მექანიკურიდან - ნგრევის ადგილობრივი პროდუქტები. თიხის სქელი ნაფენები (2-3 მ).
6. სტატიკური. მღვიმეში ჰაერის ტემპერატურა 13,5-13,7° აღინიშნა (22.08.2003).
7. მშრალია. აქა-იქ წვეთავს.

7. ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: კარსტული ძაბრის ფსკერიდან სპირალურად ჩადის ქვევით და შემდეგ 140 მ სიგრძის ვიწრო, ნაკადოვანი გვირაბის ფორმას იღებს. გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში. მღვიმე შედგება ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზებისაგან. წინა ნაწილი ორსართულიანია. გვხვდება ტერასების ფრაგმენტები. ქიმიური და მექანიკური ნალექები სუსტად არის წარმოდგენილი. განშტოებების შეერთების ადგილზე პატარა ნაკადული ისახება. წვიმების დროს მთლიანად წყლით ივსება. მღვიმე ადვილი გასასვლელია. ზოგიერთ ადგილას საჭიროა ხოხვით ძვრომა.

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანის მიდამოები, მდ. ჭემურას მარცხენა ფერდობი, 199 მეტრი ზღვის დონიდან.

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

1. მდებარეობს თერჯოლის რაონში, სოფ. გოდოგანის ტერიტორიაზე, გოდოგანის მღვიმიდან სამხრეთ-დასავლეთით 0,7 კმ-ზე.
2. გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში.
3. მღვიმე შედგება ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზებისაგან. წინა ნაწილი ორსართულიანია. გვხვდება ტერასების ფრაგმენტები.
4. მღვიმე შედგება ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზებისაგან. წინა ნაწილი ორსართულიანია. გვხვდება ტერასების ფრაგმენტები.
5. ზომები:



აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
190(--)	2-140	1-3	2-6	280	420	3,0

- ქიმიური და მექანიკური ნალექები სუსტად არის წარმოდგენილი.
- სტატიკური. მღვიმის ჰაერის ტემპერატურა – 14° (ივლისი, 1959).
- განშტოებების შეერთების ადგილზე პატარა ნაკადული ისახება. წვიმების დროს მთლიანად წყლით ივსება.

8. იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი

მდებარობს წყალწითელას კანიონში, სოფ. გოდოგანის მახლობლად, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ღირსშესანიშნაობა: ქვედა ცარცულ კირქვებში გამომუშავებული მცირე ზომის სტალაქტიტებით, სტალაგნატებით და სტალაგმიტებით გამორჩეული თაღის ფორმის შესასვლელიანი 40 მ-ის სიგრძის მღვიმეა, რომელიც მდ. წყალწითელას ხეობის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. 10 მ-ის გავლის შემდეგ მღვიმის სიგანე მცირდება 2,5 მ-დე, ბოლო ნაწილში ჭერი 0,5 მ-მდე დაბლდება. მღვიმე ბოლოში ლამიანი ჩამონაშლითაა გადაკეტილი.

მღვიმე მრავალი ტროგლობიონტი ცხოველითაა დასახლებული. აქ მოპოვებული ცხოველთა ძვლები და კაჟის იარაღები ცხადყოფს, რომ მღვიმე პალეოლითის ხანის ადამიანის სადგომს წარმოადგენდა.

მდებარეობა: ქ. ქუთაისი, წყალწითელას კანიონის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, სოფ. გოდოგანის ხიდთან, მდინარის მარჯვენა ნაპირი, 135 მეტრი ზღვის დონიდან.

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

- ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მ.წყალწითელას კანიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, სოფ.გოდოგანის ხიდთან.
- გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში.
- აღმავალი დახშული მღვიმე. შესასვლელს (8x6 მ) თაღური ფორმა აქვს. 10 მ-ის შემდეგ სიგანე მცირდება 2,5 მ-მდე, ბოლო ნაწილში ჭერი 0,5 მ-დე დაბლდება. მღვიმე მე-40 მეტრზე ნაზვავით იხშობა. ჩამოზვავებამდე სიგრძე 47 მეტრს აღწევდა.
- ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
75(6)	+1-38-35	0,5-6	1,5-8	220	400	0,01

- ქიმიური ნალექებით ღარიბია. აქა-იქ მცირე ზომის სტალაქტიტები და სტალაგმიტები; მექანიკურიდან – კლასტური მასალა. შუა ადგილას ლამი და ტალახი. არის კულტურული



ნაფენები.

6. დინამიკური.

7. მშრალი. ჭერიდან წვეთავს.

8. მღვიმის წინა ნაწილში ხარობს სინათლის მოყვარული ბალახეული მცენარეები, სოკოები, მოპოვებულია მცირეჯაგრიანი რგოლოვანი ჭიები, მაგ., *Eophilia hypogla Mal*, ღორტავებიდან (*Niphargus stygius borutskyi Birst*), ათფეხიანები (*Troglocaris schmidti kutaiisiana Sad*), ობობები (*Nesticus orutzkyi Reimoser*), მწერები (*Dolichopoda euxina Sem*, *Duvalius kutaiisiana Zaitzrew*) და სხვ.

9. მღვიმე პალეოლითელი ადამიანის სადგომს წარმოადგენს. მოპოვებულია ცხოველთა ძვლები და კაჟის იარაღები.

9. საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი

1. თერჯოლის რაიონი, მდ. წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობზე, მოწამეთის მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ზე.

2. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში.

3. ჰორიზონტული, დახშული გვირაბი, შესასვლელის სიმაღლე 7მ, სიგანე 3,5 მ-ია. მღვიმის ბოლოში ჭერის სიმაღლე მნიშვნელოვნად დაბლდება 1,2 მ-მდე და გაუვალი ხდება.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
150(70)	0-35-30	3,5-11	5-7	140	420	12,0

5. ქიმიური ნალექებით ღარიბია. არის გამოფიტვის ადგილობრივი მასალები და მძლავრი კულტურული ნაფენები.

6. დინამიური.

7. მშრალია.

8. ბინადრობენ ობობები, მწერები, შესასვლელთან ახლოს ხარობს ხავსი, სოკოები და სხვ. მოპოვებულია მცირეჯაგრიანი რგოლოვანი ჭიები, მაგ., *Eophilia hypogla Mal*, ღორტავებიდან (*Niphargus stygius borutskyi Birst*), ათფეხიანები (*Troglocaris schmidti kutaiisiana Sad*), ობობები (*Nesticus orutzkyi Reimoser*), მწერები (*Dolichopoda euxina Sem*, *Duvalius kutaiisiana Zaitzrew*) და სხვ.

9. მღვიმე მდიდარია არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური აღმოჩენებით, საკაჟიაში პირველად დადასტურდა პალეოლითის არსებობა კავკასიაში. პალეოზოოლოგიური მასალის შესწავლით მღვიმეში აღმოჩნდა ჩლიქოსნების (დომბა, ირემი, შველი), მტაცებლების (მღვიმური დათვი, მღვიმური ლომი, ფოცხვერი და სხვ.), მღრღნელების (წავი, მაჩვ-ზღარბი) მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ცხოველთა კბილებისა და ძვლების ნატეხების მოპოვებული რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს. ეს მასალა მიეკუთვნება ზედა პალეოლითს (ორინიაკი – ლულუტრე).

10. წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი

მოიცავს 7.5-კილომეტრიან მონაკვეთს სოფ. გოდოგანის ხიდიდან გელათამდე და გადაჭიმულია 21.7



ჰექტარზე სამი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე: ტყიბული, თერჯოლა და ქუთაისი.

ბუნების ძეგლი მდებარეობს ქ.ქუთაისის, ტყიბულის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, მდ. წყალწითელას ხეობა - გელათის ხიდიდან გოდოგანის ხიდამდე, 130-200 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ბუნების ძეგლი წარმოადგენს ულამაზეს კოლხური ტყით დაფარულ, განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეულ მდ. წყალწითელას კანიონისებურ ხეობას. ლეგენდის თანახმად, წყალწითელას სახელი ხრესილის ომის დროს დაერქვა, რადგან სისხლისაგან წყალი წითლად შეიღება. სინამდვილეში, როცა მდინარე დიდდება, ის წითელი მიწის ქანებს რეცხავს, რომლებიც ოკრიბაში ამ მდინარის გასწვრივ თითქმის ყველგანაა და წყალი წითელ ფერს იღებს. ხეობაში ხმელეთსა და წყალქვეშ მრავალი მინერალური წყარო მდინარეს სძენს საოცარ სამკურნალო თვისებებს. მდინარეში მრავლადაა კალმახი, წვერა, ჭანარი, მურწა, ქაშაყი, ტობი, შამაია და სხვა, მდინარის ნაპირებზე კი წავი და ნუტრია ბინადრობს. ზამთარში შესაძლებელია წყალმცურავი ფრინველების ნახვა, ძუძუმწოვრებიდან კი ტურა, მელა და მაჩვი გვხვდება. ხეობას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ისტორიული კულტურის ძეგლები: გელათის სამონასტრო კომპლექსი და წმინდა მოწამეების დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მონასტერი.

11. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი და ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერი

ბუნების ძეგლი წარმოადგენს რთულ, პალეოგრაფიულს, გეოლოგიურ და განსაკუთრებული გეომორფოლოგიური აგებულებით გამორჩეულ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის ნეოტექტონიკური სტრუქტურები, ტბიური ნალექები, თვალწარმტაცი კლიუზ-კანიონი.

მდ. საწისქვილოს მიერ ზედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული ოკაცეს კანიონის სიგანე ზოგან 3-6 მეტრი, ზოგან 15-20 მეტრია, სიღრმე კი 20-დან 100 მეტრამდე მერყეობს, ზოგიერთ ადგილას კანიონის კედლები თითქმის უერთდება ერთმანეთს და ბუნებრივ ქვახიდებს წარმოქმნის, ერთ-ერთი მათგანია „ბოგა“, საიდანაც კანიონის ფსკერის დანახვაა შესაძლებელი.

შუა მეოთხეულში მდ. საწისქვილოს ხეობა გადაიკეტა ტექტონიკური ნასხლეტით და მასში გაჩნდა ტბა, რომელშიც თიხა-ქვიშა ილექებოდა. ტბიური ნალექების წყების სისქემ 27 მეტრს გადააჭარბა. მას შემდეგ რამდენიმე ათეულმა ათასმა წელმა განვლო. წყალმა იპოვნა გასასვლელი კირქვის ნაპრალებში, გააფართოვა ისინი და დაცალა ტბა. დაიწყო ტბიური ნალექების გადარეცხვა და კანიონის გამომუშავება. ამჟამად ტბიური ნალექები შემორჩენილია ცალკეულ ფრაგმენტებად.

გორდის პლეისტოცენურ ტბიურ ნალექებში ნათლადაა გამოსახული სეზონური შრეებრიობა. შრეთა ყოველი წყვილი შეესაბამება ერთ წელს. ტბიური წყების პალინოლოგიური შესწავლით (ნამარხი მცენარეების მტვრისა და სპორების მიკროსკოპული კვლევიტით) გაირკვა, რომ წყების ქვედა ნაწილში დაცულია ფლორის არქაული, სადღეისოდ გამქრალი სახეობების ნაშთები (ჭაობის კვიპაროზი ანუ ტაქსოდიუმი, ენგელჰარდტია, კარია, ტსუგა, კედარი ანუ ცედრუსი და სხვ.). გორდის ტბიური წყების უფრო მაღლა მდებარე შრეებში ეს მცენარეები აღარ არის, რაც არეკლავს ოროგენეზის მიერ გამოწვეულ კლიმატის აცივებას.

დღეისათვის კანიონი თავისებურ მიკროკლიმატს ქმნის, რაც განაპირობებს, მრავალი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მერქნიანი მცენარისთვის საბინადრო გარემოს ჩამოყალიბებას. კანიონის კიროვან ნაპირზე იზრდება საკმაოდ მსხვილი ბზის ხეები. ხეობის ნაპირები ტყის ბუჩქნართაა დაფარული.

ბუნების ძეგლი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორდის მიდამოებში, 520 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

სოფელი გორდი მიეკუთვნება ზემო იმერეთის პლატოს გეობოტანიკური რაიონს, რომლის მცენარეულობა კოლხური მცენარეების ყველაზე გაღარიბებული ვარიანტია. მართალია, რელიქტური კოლხური სახეობების საერთო რაოდენობა რაიონის ტერიტორიაზე არცთუ ცოტაა, მაგრამ ამ სახეობათა ფიტოცენოზური პოზიციები ერთობ მოკრძალებულია/რამდენადმე თვალსაჩინოა წყავის (*Laurocerasus officinalis*), შქერის (*Rhododendron ponticum*), იელის (*Rhododendron luteum*), ბზის (*Buxus colchica*) ფიტოცენოზების პოზიციები. ამასთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე, რელიქტური ფიტოცენოზების გავრცელება ფრიად შეზღუდულია, ხოლო კოლხეთის ენდემურ მცენარეულ დაჯგუფებებს იგი საერთოდ მოკლებულია.

აქ წარმოდგენილია მხოლოდ ტყის სარტყელი, ისიც არასრული ჰიფსომეტრული პროფილით. სოფელი გორდის მიმდებარე ტერიტორიაზე ოკაცეს ჩანჩქერისა და ოკაცეს კანიონის ხეობათა ნაპირებზე შემორჩენილია ბუნებრივი მცენარეულობა, ძირითადად ხეობის კალთები შეფენილია ფართოფოთლოვანი ტყეებით, სადაც წარმოდგენილია წაბლი (*Castanea sativa*), წიფელი (*Fagus orientalis*), მურყანი (*Alnus barbata*), ბზა (*Buxus colchica*), ივანი (*Fraxinus excelsior*), ჰარტვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia cordata*), ქართული მუხა (*Quercus georgica*) და სხვა. ცხოველებიდან აქ გვხვდება: მურა



12. ნაპრაღური სიფონის (გაბზარული ტბა) ბუნების ძეგლი

სოფ. ყუმისთავთან მდებარე „გაბზარული ტბა“, რომელსაც სოფლის მოსახლეობა „წკვარამსაც“ უწოდებს, წარმოადგენს ნაპრაღურ სიფონს, რომლის ჩრდილოეთისაკენ გაწოლილი ნაპრაღის სიგრძე 60 მეტრს აღწევს, სიგანე 2-25 მეტრია. ნაპრაღის ფსკერზე, ზედაპირიდან 25 მ სიღრმეზე 45 მ სიღრმის სიფონური ტბა მდებარეობს, რომლის სარკის ფართობი დაახლოებით 500 მ² შეადგენს. ზედაპირული წყლები აღნიშნულ ძაბრში ჩაედინება და მდ. ყუმის ვოკლუზებში გამოდის. გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში, შახტი ფართო ნაპრაღის სახით ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობზე იხსნება.

ნაპრაღურ სიფონში არსებული ტბის დონე მდ. ყუმის გამოსასვლელების დონეს ემთხვევა და წყალტუბოს კეთილმოწყობილი მღვიმური სისტემის შემადგენელი ნაწილია.

„გაბზარულ ტბაში“ არსებულ წყალს სოფლის მოსახლეობა სასმელად და საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად იყენებდა. სიფონურ ტბაში თევზის რამდენიმე სახეობა ბინადრობს, რაც მიუთითებს ობიექტის მნიშვნელობაზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით.

სიფონი მდ. ყუმის ვოკლუზიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 700 მ დაშორებით მდებარეობს და წარმოადგენს ტექტონიკური რღვევით (1300-3100) გაჩენილ 45 მ სიღრმის დეპრესიას, რომლის ფსკერი სიფონურ ტბას უკავია. ეჭვს არ იწვევს მისი კავშირი ყუმის ვოკლუზთან, რასაც გეოფიზიკური გამოკვლევებიც ადასტურებს.

სიფონური ტბის ფსკერზე ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის წყალქვეშა სამუშაოები; 1300-იანი აზიმუტის ნაპრაღური სიფონიდან მდ. ყუმის მიმართულებით გავლილია 180 მ სიგრძისა და 40 მ სიღრმის წყლით გამოვსებული მიწისქვეშა დერეფანი. პირიქით, მდ. ყუმის გამოსასვლელიდან ნაპრაღური სიფონის მიმართულებით - 130 მ სიგრძისა და 5 მ სიღრმის მეტად რთული მორფოლოგიის მქონე სიფონური მონაკვეთი. ნაპრაღურ სიფონსა და მდ. ყუმის გამოსასვლელებს შორის სავარაუდო მანძილი 1000 მეტრი უნდა იყოს, მიღწეული სიღრმე კი 45 მეტრია. მსგავსი სირთულის წყალქვეშა გამოკვლევები და სიფონური გაცურვები წყალტუბოს მღვიმის მიდამოებში პირველად ჩატარდა.

ნაპრაღური სიფონიდან (3) ოფიჭოს (4) მიმართულებით 12 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიღრმის სიფონის მიღმა 15 მ დიამეტრის დარბაზიდან ოფიჭოს მიმართულებით გავლილ იქნა მეორე, 60 მ სიგრძისა და 20 მ სიღრმის სიფონური მონაკვეთი. ჩვენი ვარაუდით, ამ სიფონური და წყლიანი დერეფნების დაკავშირების შემთხვევაში მოხდება მღვიმური სისტემის ორი ძირითადი შემადგენელი ნაწილის - ოფიჭოსა და ყუმის წყლიანი მონაკვეთების გაერთიანება, რის შედეგადაც მღვიმური სისტემის ჯამური სიგრძე საგრძნობლად მოიმატებს.

13. საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

1. წყალტუბოს რაიონი, ს.ყუმისთავის ტერიტორიაზე, მდ. სემის მარცხენა ნაპირზე.
2. გამომუშავებულია ბარემულ კირქვებში.
3. მღვიმის შესასვლელი იხსნება ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე. შესასვლელის სიგანე 6 მ-ია. პირველ 80 მ სიგრძეზე ფსკერი დახრილია 12-15°. ბოლომდე ინვითარებს 1-1,5 მ სიღრმის საფეხურებს, შესასვლელთან 125 მეტრზე 5 მეტრიანი ფლატეა, რომელსაც ებმის დიდი ზომის დარბაზი. (35x25 მ).
4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, მ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
305	20-125-12	3-8	--	25	450	---



5. ქიმიური ნალექებიდან – სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ტრავერტინები, ფსკერზე დიდი ზომის გურები. მექნიკურიდან – ლოდნარი, ტბიურ-კოლმიტაციური თიხების ფენა.

6. დინამიკური. ჰაერის ტემპერატურა მღვიმის ბოლოში – 11.7° (12.08.2001).

7. ამჟამად მშრალია.

8. მღვიმის მახლობლად (ზედაპირზე) მოპოვებულია არქეოლოგიური ნაშთები (ქვისა და კაჟის იარაღები), მღვიმე შუასაუკუნეებში გამოყენებული იყო თავშესაფრად.

14. სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

1. წყალტუბოს რაიონი, ს.ყუმისთავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე, მელოურისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. გზიდან 25-30 მ-ის მოშორებით, ფოთლოვან ტყეში.

2. გამომუშავებულია ბარემულ კირქვებში.

3. შესასვლელი იხსნება მცენარეულობით შენიღბული კარსტული ძაბრის ფსკერზე, რომელიც დამრეცად მიემართება სიღრმეში. დახრილი დერეფნის შემდეგ მღვიმე ფართოვდება 10–15 მ-მდე და საკმაოდ ეფექტურ, ჰორიზონტალურფსკერიან დარბაზში გადადის, რომლის ჭერის სიმაღლე თითქმის 30 მ-ს უახლოვდება.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
373(95)	25-210-200	6-30	4-15	3 250	27 600	0,6

5. ქიმიური ნალექებიდან – სტალაქტიტები, სტალაგმიტები. ყურადღებას იპყრობს ნაღვენთების განსაკუთრებით დიდი ზომები. ჭერიდან სიმძიმის ძალით მოწყვეტილი სტალაქტიტის გარშემოწერილობა 5 მ-ს უდრის. ამ ზომის სტალაქტიტი იშვიათია ევროპაში. შესასვლელიდან 160 მ სიგრძეზე ფსკერიდან აღმართულია 8 მ სიმაღლის სტალაგმიტი, რომლის გარშემოწერილობა ძირთან 8,5 მ-ია, შუაში კი – 4,5 მ.

6. სტატიკური. ჩასასვლელი მონაკვეთის დადმავალი ხასიათის გამო ჰაერის ტემპერატურა ჩასასვლელიდან 10–15 მ სიმაღლეზე 20,5°-დან 11,0°-მდე ეცემა; მღვიმის ფსკერზე – ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბალ უბანში ჰაერის ტემპერატურა 10,5°-ია (12.08.2007).

7. მშრალია. შეინიშნება დროებითი ნაკადების მოქმედების კვლები.

8. მღვიმე მნიშვნელოვანი პალეონტოლოგიური ძეგლია „თიხიანი დარბაზის“ ეროზიულ ჭრილში აღმოჩენილია მღვიმური დათვის (*Ursus sp. Rosenm*) ძვლები.

15. დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი

ქვემოთ მოყვანილი აღწერილობა ამოღებულია „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრიდან“.

1. წყალტუბოს რაიონი, ს.ყუმისთავის ჩრდილო-აღმოსავლეთით 4-5 კმ-ზე. ადგ. მელოურის



მიდამოებში, მდ.ოსუნელას ტაფობი.

2. გამომუშავებულია ბარემულ კირქვებში.

3. მღვიმეში ჩასასვლელი 20 მეტრიანი ტაფობის ძირში იხსნება. მღვიმე დაღმავალია. შესასვლელიდან მე-100 მეტრზე უერთდება დატოტვილი, სუსტად დამუშავებული მოკლე განშტოება.

4. ზომები:

აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მ	სიღრმე, გაჭიმულობა, საპროექტო სიგრძე, მ	სიგანე, მინიმალური, მაქსიმალური, მ	სიმაღლე მინიმალური, მაქსიმალური, მ	ფსკერის ფართობი, გ ²	საერთო მოცულობა, მ ³	კორბელის კოეფიციენტი
95 60)	15-250	1,5-3	1-5	750	6 000	0,3

